



ევროკავშირი  
საქართველოსთვის  
The European Union for Georgia



ადვოკატირების, მედიასთან ურთიერთობისა  
და კომუნიკაციის სტრატეგიული ჩარჩო და  
გზამკვლევი საქართველოში გენდერული ნიშნით  
სქესის შერჩევის აღმოსაფხვრელად

2019

**ISET**

International School of Economics at TSU  
Policy Institute



## ადვოკატირების, მედიასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის სტრატეგიული ჩარჩო და გზამკვლევი საქართველოში გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის (GBSS) აღმოსაფხვრელად

საინფორმაციო სახელმძღვანელო სხვადასხვა (განსაკუთრებით კომუნიკაციის) სფეროს სპეციალისტებისათვის, საქართველოში გენდერული ნიშნით სქესის შერჩევისა და ვაჟებისადმი უპირატესობის მინიჭების პრაქტიკის აღმოფხვრის საკომუნიკაციო და ადვოკატირების კამპანიის წარმატებით დასაგეგმად და განსახორციელებლად

ადვოკატირების, მედიასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის სტრატეგიული ჩარჩო არის ISET-ის კვლევითი ინსტიტუტისა და გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) საქართველოს ოფისის ერთობლივი ძალისხმევის შედეგი UNFPA-ის გლობალური პროგრამის – გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის პრევენციისა და გენდერული თანასწორობის გაძლიერებისათვის: დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის გაუმჯობესებისათვის აზიისა და კავკასიის რეგიონის ქვეყნებში (2017-2019) – ფარგლებში. პუბლიკაციაში გამოთქმული ნებისმიერი აზრი ან/და იდეა ეკუთვნის ავტორს და შესაძლოა არ ასახავდეს UNFPA-ის ან ევროკავშირის (EU) შეხედულებებს.

# ს ა რ ჩ ე ვ ი

|   |    |
|---|----|
| მადლიერების გამოხატვა.....  | 6  |
| შემოკლებები .....   | 7  |
| შესავალი .....  | 8  |
| <b>1. რატომ არის საჭირო კომუნიკაციასა და ადვოკატირებაზე ფოკუსირება GBSS-ის პრაქტიკის აღმოსაფხვრელად?</b>        | 10 |
| 1.1 ფენომენის მიმოხილვა: GBSS-ის განმაპირობებელი ფაქტორები  | 10 |
| 1.2 ეროვნული კანონმდებლობა და საერთაშორისო შეთანხმებები .....   | 12 |
| 1.3 რატომ არის კომუნიკაცია და ადვოკატირება მნიშვნელოვანი? .....   | 13 |
| <b>2. პარტნიორული ურთიერთობების ჩამოყალიბება, სტრატეგიის განვითარება და ფინანსური რესურსის მობილიზება .....</b> | 14 |
| 2.1 პარტნიორული ურთიერთობების ჩამოყალიბება .....  | 14 |
| 2.2 სტრატეგიის შემუშავება .....   | 19 |
| 2.3 ფინანსური რესურსის მობილიზება .....   | 20 |
| <b>3. კომუნიკაციის სტრატეგიის ფორმირება .....</b>   | 21 |
| 3.1 კომუნიკაციის მიზნების განსაზღვრა.....   | 21 |
| 3.2 მიზნობრივი აუდიტორიის განსაზღვრა.....   | 24 |
| 3.3 GBSS-ის აღმოფხვრის კამპანიის მთავარი გზავნილების იდენტიფიცირება .....                                       | 24 |
| 3.4 საზოგადოებასთან უკეთესი კომუნიკაციისთვის გზავნილებისა და საკომუნიკაციო არხების განსაზღვრა.....              | 28 |
| <b>4. კომუნიკაციისა და ადვოკატირების ერთ-ერთი ფორმა: მედიასთან მჭიდრო თანამშრომლობა .....</b>                   | 40 |
| 4.1 კომუნიკაციის დამატებითი საშუალებები.....  | 42 |
| <b>5. პროგრესის მონიტორინგი, გავლენის შეფასება, შეფასების სხვადასხვა ტიპი და ინდიკატორი.....</b>                | 43 |
| ბიბლიოგრაფია .....  | 46 |

## მადლიერების გამოსატყობი

სტრატეგიული ჩარჩო და გზამკვლევი შეიმუშავა ISET-ის კვლევითმა ინსტიტუტმა (ISET-PI), გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) საქართველოს ოფისთან პარტნიორობით, UNFPA-ის გლობალური პროგრამის – გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის (GBSS) პრევენციისა და გენდერული თანასწორობის გაძლიერებისათვის: დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის გაუმჯობესებისათვის აზიისა და კავკასიის რეგიონის შერჩეულ ქვეყნებში (2017-2019) – ფარგლებში. პროგრამას, ევროკავშირის მხარდაჭერით, ახორციელებს UNFPA, მთავრობებთან, სამოქალაქო საზოგადოებასა და აკადემიურ წრეებთან თანამშრომლობით ექვს სხვადასხვა ქვეყანაში: აზერბაიჯანი, ბანგლადეში, ვიეტნამი, ნეპალი, საქართველო და სომხეთი. მსგავსი ტიპის გლობალური პროგრამა პირველად ხორციელდება. პროგრამის ფარგლებში პარტნიორობით თანამშრომლობით იქმნება ცოდნა საზიანო პრაქტიკის ძირეული მიზეზების შესახებ, ასევე, მაღლდება ცნობიერება საზოგადოებაში ქალებისა და გოგონების ღირებულების გაზრდის მიზნით.

გლობალური პროგრამის მიზანია, ხელი შეუწყოს მტკიცებულებაზე დაფუძნებული ეროვნული პოლიტიკისა და პროგრამების დახვეწას კავკასიის რეგიონსა და აზიის ზემოთ ჩამოთვლილ ქვეყნებში. აღნიშნული პოლიტიკა და პროგრამები მიმართულია, აღმოფხვრას GBSS-ის პრაქტიკა, რომელსაც საფუძვლად უდევს ვაჟებისადმი უპირატესობის მინიჭება, საზოგადოებაში ბიჭებთან შედარებით გოგონების მიმართ არსებული არათანაბარი დამოკიდებულება და გენდერული უთანასწორობა. ამასთან, პროგრამა აღრმავებს და აფართოებს ცოდნას როგორც მონაწილე ექვსი ქვეყნიდან მიღებული ექსპერტიზის, ისე ჩინეთის, ინდოეთის, სამხრეთ კორეისა და იმ სხვა ქვეყნების მაგალითზე დაყრდნობით, რომლებმაც უკვე აამოქმედეს შესაბამისი საკანონმდებლო ჩარჩო, პოლიტიკა და პროგრამები ვაჟებისადმი უპირატესობის მინიჭებისა და სქესის შერჩევის პრაქტიკის აღმოსაფხვრელად.

სტრატეგიული ჩარჩო და გზამკვლევი ეყრდნობა მკვლევარ მონიკა დას გუპტას (2019 წ.) მიერ შემუშავებულ ადვოკატირებისა და კომუნიკაციის რეგიონულ სტრატეგიას გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის აღმოსაფხვრელად. აღნიშნული სტრატეგია გლობალური პროგრამის ფარგლებში, არასამთავრობო ორგანიზაცია ბავშვების საერთაშორისო ცენტრთან (ICC) თანამშრომლობით შეიქმნა. ICC (რომელიც თურქეთში, ქ. ანკარაში მდებარეობს) UNFPA-ის სათაო ოფისმა შეარჩია როგორც რეგიონული თანამშრომლობის მექანიზმი (IRM), რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს გლობალური პროგრამის განხორციელებასა და ეფექტურ კოორდინაციას GBSS-ის პრევენციისა და გენდერული თანასწორობის გაძლიერებისათვის.

განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით კომუნიკაციის სპეციალისტს, ქალბატონ ნანა ლობჯანიძეს, ISET-ის კვლევითი ინსტიტუტისა და UNFPA-ის საქართველოს ოფისის თანამშრომლებს სტრატეგიული ჩარჩოსა და გზამკვლევის შემუშავების პროცესში განეული მნიშვნელოვანი დახმარებისა და მხარდაჭერისათვის. გვინდა, მადლიერება გამოვხატოთ ევროკავშირის მიმართ, რომელიც მხარს უჭერს 2017-2019 წლების გლობალურ პროგრამას. პროგრამა, რომლის პარტნიორიცაა საქართველო, ძალზე ფასეულია GBSS-ის ძირეულ მიზეზებთან საბრძოლველად. პროგრამა, გენდერული ნიშნით სქესის შერჩევისა და ვაჟებისადმი უპირატესობის მინიჭების საკითხებზე მუშაობისას, მტკიცებულებაზე დაფუძნებული და ჰოლისტიკური მიდგომით, აერთიანებს საქართველოს მთავრობას, სამოქალაქო საზოგადოებასა და აკადემიური წრეების წარმომადგენლებს, ხსენებული საზიანო პრაქტიკის აღმოსაფხვრელად. საქართველოში პროგრამა მიზნად ისახავს, ხელი შეუწყოს უფრო თანასწორი, ჰარმონიული და დისკრიმინაციისაგან თავისუფალი საზოგადოების ჩამოყალიბებას, რომელშიც ყოველი ბავშვის დაბადება, სქესის მიუხედავად, თანაბრად ღირებული და სასიხარულოა.

## შემოკლებები

|                 |  |
|-----------------|--|
| <b>CEDAW</b>    | კონვენცია ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ |
| <b>CSO</b>      | სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაცია                            |
| <b>EU</b>       | ევროკავშირი  |
| <b>GBSS</b>     | გენდერული ნიშნით სქესის შერჩევა                                |
| <b>საქსტატი</b> | საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური                     |
| <b>ICC</b>      | ბავშვთა საერთაშორისო ცენტრი                                    |
| <b>IEC</b>      | საინფორმაციო, საგანმანათლებლო და საკომუნიკაციო მასალები        |
| <b>ISET-PI</b>  | ISET-ის კვლევითი ინსტიტუტი                                     |
| <b>RCT</b>      | რანდომიზებული კონტროლირებადი კვლევა                            |
| <b>SRB</b>      | დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობა                    |
| <b>UN</b>       | გაერთიანებული ერების ორგანიზაცია (გაერო)                       |
| <b>UNFPA</b>    | გაეროს მოსახლეობის ფონდი                                       |

## შესავალი

გენდერული ნიშნით სქესის შერჩევა (GBSS) ვაჟების სასარგებლოდ იმაზე მიანიშნებს, რომ გენდერული დისკრიმინაცია და უთანასწორობა არაერთ ქვეყანაში გვხვდება. პატრიარქალური სტრუქტურები აძლიერებენ ვაჟებისადმი უპირატესობის მინიჭების პრაქტიკას და ხელს უწყობენ ქალებისა და გოგონების წინააღმდეგ მიმართული ძალადობრივი სოციალური გარემოს შენარჩუნებასა და დისკრიმინაციას. მეტიც, GBSS არის უთანასწორობის გამოვლინება სოციალურ, პოლიტიკურ, კულტურულ და ეკონომიკურ ქრილში. კლებადი შობადობის პირობებში, სწრაფმა ტექნოლოგიურმა განვითარებამ, რომელიც ნაყოფის სქესის შერჩევის საშუალებას იძლევა, კიდევ უფრო გააძლიერა აღნიშნული პრაქტიკა.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, საქართველოში მნიშვნელოვნად გაიზარდა გოგონებთან შედარებით ბიჭების დაბადების სიხშირე. გაეროს მოსახლეობის ფონდის საქართველოს წარმომადგენლობისა (UNFPA საქართველო) და საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატი) მიერ ქვეყნის მასშტაბით ჩატარებულმა სიღრმისეულმა კვლევამ (2017 წ.) აჩვენა, რომ დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის (SRB) მაჩვენებელმა ისტორიულ მაქსიმუმს (115 ბიჭი ყოველ 100 გოგონაზე) 2004 წელს მიაღწია, რის შემდეგაც კლება დაიწყო. აღნიშნული ტენდენცია გენდერული თანასწორობის სასარგებლოდ გადადგმული ნაბიჯია, თუმცა ვაჟებისადმი უპირატესობის მინიჭების პრაქტიკის არსებობა კვლავ პრობლემად რჩება: საქართველოში მცხოვრებ ოჯახთა უმეტესობას სურს, სულ მცირე ერთი ვაჟი მაინც ჰყავდეს.

**გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის პრობლემის აღმოფხვრის წინააღმდეგ მიმართული ადვოკატირება, მედია-საშუალებებისა და კომუნიკაციის სტრატეგიული მიმართულებები ყურადღებას უნდა ამახვილებდეს აღნიშნული ფენომენის გამომწვევ მიზეზებზე. ეს მიზეზები, უმეტესწილად, გულისხმობს სოციალურ სტრუქტურებს, რომლებიც ოჯახებს უბიძგებს, ქალიშვილებთან შედარებით, ვაჟებში უფრო მეტი ინვესტიცია ჩადონ, რაც დამატებით ამცირებს გოგონების პოტენციალს და მათ უნარს, წვლილი შეიტანონ საოჯახო მეურნეობის გაძლიერებასა და კეთილდღეობაში.**

საქართველოში გენდერული ნიშნით სქესის შერჩევისა და ვაჟებისადმი უპირატესობის მინიჭების აღმოაფხვრელად გამიზნული საკომუნიკაციო და ადვოკატირების ინიციატივების წარმატებით **გასააზრებლად, დასაგეგმად და განსახორციელებლად**, ქვემოთ მოცემული სტრატეგიული ჩარჩო და გზამკვლევი ასრულებს საინფორმაციო სახელმძღვანელოს როლს. სახელმძღვანელო გათვლილია საზოგადოებრივ ორგანიზაციებზე, კომუნიკაციების სპეციალისტებზე, ადვოკატირებისა და საგანმანათლებლო აქტივობებში ჩართულ, ადგილობრივ და სახელმწიფო დონის სახელისუფლებო ორგანოებზე, მედიასა და სხვა დაინტერესებულ პირებზე.

გენდერული თანასწორობის, მათ შორის GBSS-ის საკითხებზე, არაერთი ორგანიზაცია და დაინტერესებული მხარე მუშაობს, რომლებმაც მაქსიმალური შედეგის მისაღწევად, სტრატეგიულად უნდა გამოიყენონ კომუნიკაციისა და ადვოკატირების ინსტრუმენტები. კვლევა-ანალიზი და საკანონმდებლო ჩარჩოს გაძლიერებაზე მუშაობა მნიშვნელოვანია, თუმცა არანაკლებ საჭიროა, ადვოკატირების აქტივობები შემუშავდეს მტკიცებულებებზე დაფუძნებით. ამ გზით ინფორმაცია ეფექტურად აღწევს სამიზნე აუდიტორიამდე და ხელს უწყობს შესაბამისი პოლიტიკისა და პროგრამების ჯეროვან ინფორმირებას.

სტრატეგიული ჩარჩო და გზამკვლევი ეყრდნობა რეგიონულ სტრატეგიას<sup>1</sup> და მიზნად ისახავს, ხელი შეუწყოს დარგის სპეციალისტებს, შეიმუშაონ, განავითარონ და წარმართონ ადვოკატირების სტრატეგიები და უფრო ეფექტურად აწარმოონ კომუნიკაცია სამიზნე აუდიტორიასთან. გზამკვლევი თავმოყრილი და განხი-

1 მონიკა დას გუპტას (2019 წ.) მიერ გლობალური პროგრამის ფარგლებში შემუშავებული კომუნიკაციის რეგიონული სტრატეგია გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის (GBSS) აღმოსაფხვრელად.

ლულია კომუნიკაციასა და ადვოკატირებასთან დაკავშირებული ასპექტები. დოკუმენტი GBSS-ის ფენომენისა და საქართველოში მისი განმსაზღვრელი ფაქტორების მცირე მიმოხილვით იწყება. დოკუმენტი გვაცნობს საკითხის ირგვლივ არსებულ ეროვნულ საკანონმდებლო ჩარჩოს, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე დადებულ შეთანხმებებს. შესავლის შემდეგ განხილულია, თუ რატომ უნდა გამახვილდეს ყურადღება ადვოკატირებასა და კომუნიკაციაზე. მომდევნო თავებში განხილულია კომუნიკაციისა და ადვოკატირების კამპანიის დაგეგმვასთან დაკავშირებული საკითხები: (ა) სამიზნე აუდიტორიის განსაზღვრა, (ბ) კონკრეტულ მიზნობრივ ჯგუფებზე მიმართული გზავნილების შემუშავება და (გ) მთავარი გზავნილების ეფექტურად მიწოდებისათვის კომუნიკაციის სასურველი არხის შერჩევა. აღნიშნული თავები მიზნად ისახავს გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის წინააღმდეგ მიმართული კამპანიების ფარგლებში უკვე დაგროვებული ცოდნისა და გამოცდილების გაზიარებას. შესაბამისად, გზამკვლევაში შემოთავაზებულია პრაქტიკული რჩევები და ნარმატიული მაგალითები. გზამკვლევის თანახმად, იმისათვის, რომ გაფართოვდეს წვდომა სამიზნე აუდიტორიასთან და მობილიზდეს საჭირო რესურსები, სამომავლო ადვოკატირებისა და კომუნიკაციის მდგრადი განხორციელებისათვის მნიშვნელოვანია სხვადასხვა დაინტერესებულ მხარესთან პარტნიორობა. დოკუმენტში განხილულია მედიასა და პოლიტიკის განმახორციელებლებთან დაკავშირებული საკითხებიც, რადგან ისინი აქტიურ როლს თამაშობენ გენდერული თანასწორობის პოლიტიკისა და საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაში. ბოლო თავი ეთმობა პროგრესის მონიტორინგსა და ადვოკატირება-კომუნიკაციის მიმართულებით განხორციელებული ღონისძიებების შეფასებას, რაც მიღწეული შედეგების ღირებულის საზომია.



● ფოტო პროექტიდან „გოგონა დაბადა“  
ფოტო: UNFPA Georgia / დინა ოგანოვა

## 1. რატომ არის საჭირო კომუნიკაციასა და ადვოკატირებაზე ფოკუსირება GBSS-ის პრაქტიკის აღმოსაფხვრელად?

### 1.1 ფენომენის მიმოხილვა: GBSS-ის განმაპირობებელი ფაქტორები

გენდერულმა დისკრიმინაციამ ბევრ ქვეყანაში სქესის შერჩევის საგანგაშო ტენდენციას დაუდო სათავე. ამ ქვეყნებს შორისაა საქართველოც, სადაც 1990-იანი წლებიდან შეინიშნებოდა დაბადებისას სქესთა შორის რაოდენობრივი თანაფარდობის (SRB-ის) დარღვევა ვაჟების სასარგებლოდ.

ტრადიციულად, პატრიარქალურად მოწყობილი ქართველი საზოგადოება უპირატესობას ვაჟებს ანიჭებს. მაგალითად, ინდივიდის ოჯახის წევრობა მამის ხაზით გადადის. ქალი, ჩვეულებრივ, ქორწინების შემდეგ უერთდება მეუღლის ოჯახს; ვაჟთან მიმართებაში კი არსებობს მოლოდინი, რომ ის მშობლებთან დარჩება და იზრუნებს მათზე ხანდაზმულობის ჟამს. შესაბამისად, მშობლების თვალში ვაჟები უფრო ფასეულნი არიან, ვიდრე გოგონები. ქვეყნის პატრიარქალურმა წყობამ და ოჯახისა და მამაკაცის როლმა, სოციალურ-ეკონომიკურ გარემო ფაქტორებთან ერთად, დააქინა გოგონების ღირებულება საზოგადოებაში. 2010 წლის კავკასიის ბარომეტრის კვლევით, მხოლოდ ერთი შვილის ყოლის შემთხვევაში, გამოკითხულთა 46%-ს ურჩევნია, ჰყავდეს ვაჟი, 9%-ს – გოგონა, 45%-თვის კი შვილის სქესს მნიშვნელობა არ აქვს. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ წარმოქმნილი სოციალურ-ეკონომიკური სირთულეების პირობებში, ვაჟის,



როგორც ოჯახის მარჩენალისა და ხანდაზმული მშობლების მთავარი მხარდამჭერის, როლი კიდევ უფრო გაიზარდა.

პოსტსაბჭოთა ეკონომიკური და პოლიტიკური კოლაფსის შედეგად, **შობადობის მაჩვენებელი მკვეთრად დაეცა**. წყვილები აჭიანურებდნენ ბავშვის გაჩენასა და ოჯახის შექმნასაც კი, რამაც შეამოკლა რეპროდუქციული პერიოდი. ამიტომ, ვაჟის ყოლის სურვილი განმეორებითი ფენმძიმობით ველარ დაკმაყოფილდებოდა. ამავე პერიოდში, გაიზარდა წვდომა ნაყოფის სქესის დადგენის ტექნოლოგიებზე, შედეგად, ვაჟის მოსურნე წყვილებს სქესის შერჩევის შესაძლებლობა მიეცათ. აღსანიშნავია, რომ **სქესის დადგენის ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობა**, თავისთავად, არ წარმოადგენს ვაჟებისადმი უპირატესობის მინიჭებისა და გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის მთავარ მიზეზს, თუმცა ხელს უწყობს აღნიშნულ პრაქტიკას.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, სხვადასხვა ფაქტორის (შემცირებული შობადობა, ვაჟებისადმი გამოხატული უპირატესობა და ნაყოფის სქესის დადგენის ტექნოლოგიების გაზრდილი ხელმისაწვდომობა) ერთობლიობამ ხელი შეუწყო გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის პრაქტიკის გავრცელებას და განაპირობა სქესთაშორისი რაოდენობრივი თანაფარდობის დარღვევა საქართველოში.

2015 წელს UNFPA-ის მხარდაჭერით ჩატარდა კვლევა, რომლის თანახმადაც, 2004 წელს საქართველოში დაბადებისას სქესთა რაოდენობრივმა თანაფარდობამ ისტორიულ მაქსიმუმს მიაღწია – 115.2 ვაჟი 100 გოგონაზე, მაშინ, როდესაც ზოგადად დადგენილი ბიოლოგიური ნორმა არის 104-106 ვაჟი 100 გოგონაზე (UNFPA, 2015 წ.). თუმცა გაეროს მოსახლეობის ფონდის ბოლო, 2017 წლის კვლევამ დაგვანახა, რომ ქვეყანაში მდგომარეობა შეიცვალა. 2009 წელს დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობა 110-ს ჩამოცდა, 2016 წელს კი თითქმის ბუნებრივ მაჩვენებელს მიაღწია – 105 ვაჟი 100 გოგონაზე. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის უახლესი, 2018 წლის მონაცემებით, დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობა 107-ს შეადგენს.

UNFPA-ის 2017 წლის კვლევა გამოყოფს ბოლოდროინდელი დადებითი ძვრების გამომწვევ შემდეგ ფაქტორებს: გაძლიერებული სახელმწიფო ინსტიტუტები და სოციალური დაცვის სისტემა, გაუმჯობესებული ეკონომიკური მდგომარეობა და გაზრდილი შობადობა, ქალთა ეკონომიკური გაძლიერება და, ზოგადად, გენდერული თანასწორობის გაძლიერების მიმართულებით გადაგმული ნაბიჯები. მიუხედავად ამისა, მონაცემების დეტალური ანალიზი ცხადჰყოფს, რომ გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის პრაქტიკა ჯერ კიდევ არსებობს, თუმცა პრაქტიკის მასშტაბი სხვადასხვა ფაქტორის მიხედვით იცვლება. ვაჟებისადმი უპირატესობის მინიჭება განსაკუთრებით თავს იჩენს **დაბადების რიგითობის ზრდასთან** ერთად და დამოკიდებულია **ოჯახში ბავშვების სქესობრივ თანაფარდობაზე** (მე-3 და შემდეგი შვილის შემთხვევაში, დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობა, ვაჟის არყოლის შემთხვევაში, 173.8-ს აღწევს).

განსხვავებები გამოკვეთილია **ქალაქისა და სოფლის ტიპის დასახლებებს** შორისაც. სოფლის ტიპის დასახლებაში 2010-2014 წლებში დაბადებისას სქესთა რაოდენობრივმა თანაფარდობამ 118.1 ბიჭს მიაღწია 100 გოგონაზე, იგივე მაჩვენებელი ქალაქის ტიპის დასახლებებისთვის კი მხოლოდ მცირედით იყო ნორმიდან გადახრილი და 107 ბიჭს შეადგენდა 100 გოგონაზე (ბუნებრივ დონესთან ახლოს). სოფლად და ქალაქად არსებული განსხვავება განსაკუთრებით მაღალია ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში. მაგალითად, ეთნიკურად ქართველ ოჯახებთან შედარებით, ეთნიკური აზერბაიჯანელი და სომეხი მოსახლეობა უფრო მეტად ანიჭებს ვაჟებს უპირატესობას. ვაჟის არყოლა ნაკლებად მნიშვნელოვანია ფინანსურად ძლიერი ოჯახებისათვის, ხელფასის მქონე ადამიანებისა და მათთვის, ვინც სოციალურ დახმარებას იღებს.

გარკვეული პროგრესის მიუხედავად, არსებული **სოციალური და ოჯახური ნორმები** სათავეს კვლავ ტრადიციებიდან და ეროვნული სიამაყიდან იღებს და ძნელად ემორჩილება ცვლილებებს. ტრადიციული და კულტურული ფასეულობები ვაჟებისადმი უპირატესობის მინიჭების პრაქტიკის განმარტობებელ ერთ-ერთ უმთავრეს ფაქტორად რჩება. მეტიც, საზოგადოების ცნობიერება ჯერ კიდევ დაბალია, როგორც ქვეყნის მოსახლეობაში, ისე პოლიტიკის ექსპერტთა წრეებში, როდესაც საქმე ვაჟებისადმი უპირატესობის მინიჭებისა და გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის პრაქტიკას ეხება.

იმ შემთხვევაში, თუ არ გატარდა შესაბამისი ღონისძიებები, დაბადებისას სქესთა გადახრილ რაოდენობრივ თანაფარდობას ქვეყნის დემოგრაფიულ დინამიკაზე გრძელვადიანი ეფექტი ექნება. გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის გამო, სამომავლოდ კიდევ უფრო შემცირდება რეპროდუქციულ ასაკში მყოფი ქალების რაოდენობა, რაც გავლენას იქონიებს მოსახლეობის კლებაზე (UNFPA, 2015 წ.). გარდა ამისა, დაბადებისას სქესთა გადახრილი რაოდენობრივი თანაფარდობა გამოიწვევს დისბალანსს კაცებისა და ქალების რაოდენობას შორის. ვაჟისადმი გამოკვეთილად მინიჭებული უპირატესობა და გენდერული ნიშნით სქესის შერჩევა ზრდის წნეხს ქალებზე, გააჩინონ ვაჟები, რამაც შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინოს ქალის ფსიქიკურ და ფიზიკურ ჯანმრთელობაზე. მეტიც, არასასურველი გოგონას გაჩენა შეიძლება ოჯახური ძალადობის, მიტოვების ან განქორწინების მიზეზიც კი გახდეს. მიუხედავად იმისა, რომ ამ მიმართულებით საქართველოში ბოლოდროინდელი ტენდენციები პოზიტიურია, საზიანო პრაქტიკის ხელახალი გავრცელების თავიდან ასაცილებლად, აუცილებელია არსებული დადებითი ძვრების ნახალისება და მათ შენარჩუნებაზე ზრუნვა. ამიტომ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, სოციალური ნორმების ცვლილება და ვაჟებისადმი უპირატესობის მინიჭების მიმართულებით ცნობიერების ამაღლება განიხილებოდეს სტრატეგიული ჩარჩოს ნაწილად.

## 1.2 ეროვნული კანონმდებლობა და საერთაშორისო შეთანხმებები

### ეროვნული კანონმდებლობა და მარეგულირებელი ჩარჩო

საქართველო გენდერული თანასწორობის პრინციპებს კონსტიტუციის დონეზე ადგენს. ბოლო წლებში, გენდერული თანასწორობის მისაღწევად და ქალთა და გოგონათა წინააღმდეგ მიმართული პრაქტიკის აღმოსაფხვრელად ქვეყანამ მნიშვნელოვანი პროგრესი განიცადა. დამუშავდა და მიღებულ იქნა პოლიტიკის მრავალი დოკუმენტი, კანონი და საკანონმდებლო აქტი: კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ (2010 წ.); დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ (ანტიდისკრიმინაციული კანონი; 2014 წ.); გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმები (2018-2020 წწ.); პირველი ნაბიჯები გადაიდგა სექსუალური შევიწროების აღმოფხვრის მიზნით კანონმდებლობაშიც (2019 წ.) და სხვ. გარდა ამისა, საქართველოს მთავრობამ 2012 წელს მოახდინა ოჯახური ძალადობის, 2014 წელს – იძულებითი ქორწინებისა და 2017 წელს – ქალთა წინდაცვეთის პრაქტიკის კრიმინალიზება. 2017 წელსვე მოხდა ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის (სტამბოლის კონვენციის) რატიფიცირება. გენდერული თანასწორობის საკითხებზე მომუშავე საპარლამენტო საბჭოს პარალელურად დაარსდა გენდერული თანასწორობის მიმართულებით მომუშავე ეროვნული ორგანო – გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის უწყებათაშორისი კომისია. კომისია არის აღმასრულებელი ხელისუფლების ნაწილი და კოორდინირებას უწევს ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მიმართულ პოლიტიკასა და ქმედებებს.

აღნიშნული პროგრესის მიუხედავად, გენდერული უთანასწორობა კვლავ განიხილება ქართველი საზოგადოების უფრო მდგრადი, ჰარმონიული და ინკლუზიური განვითარების ძირითად ხელისშემშლელ ფაქტორად. კანონები და საკანონმდებლო ჩარჩო შემუშავებულია, მაგრამ მათი აღსრულება ყოველთვის არ ხდება. მაგალითისთვის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი მემკვიდრეებს, განურჩევლად სქესისა, ანიჭებს თანაბარ უფლებებს, მემკვიდრეობით მიიღონ გარდაცვლილი მამკვიდრებლის ან მონადგრძის ქონება, მაგრამ მოქალაქეები ხელმძღვანელობენ გავრცელებული ტრადიციით, რომელიც უპირატესობას ვაჟებს ანიჭებს.

სქესის შერჩევის მიზნით ჩატარებული აბორტის მარეგულირებელი ცალკეული კანონი არ არსებობს, თუმცა არსებობს ბრძანებები და ოქმები. მთავარი საკანონმდებლო აქტი, რომელიც ამ საკითხს ეხება, არის საქართველოს კანონი ჯანმრთელობის დაცვის შესახებ. აღნიშნული კანონის 139-ე მუხლის თანახმად, ორსულობის ნებაყოფლობითი შეწყვეტა ნებადართულია, თუ ორსულობის ხანგრძლივობა არ აღემატება 12 კვირას. აბორტისთვის ნებადართული პერიოდი შეიძლება გაიზარდოს 22 კვირამდე, სამედიცინო ან სოციალური ჩვენებების საფუძველზე. აღნიშნული ჩვენებების ჩამონათვალს განსაზღვრავს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი, სპეციალური ბრძანებით ორსულობის ხელოვნური შეწყვეტის განხორციელების წესების დამტკიცების თაობაზე. **აღნიშნული წესებით სელექციური აბორტი აკრძალულია.**



● ფოტო გამოფენა „გოგონა დაიბადა“ / ავტორი: დინა ოგანოვა  
ფოტო: UNFPA Georgia / ვლადიმერ ვალიშვილი

## საერთაშორისო შეთანხმებები

1994 წელს საქართველომ მოახდინა ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ (CEDAW) კონვენციის რატიფიცირება, რომელიც განმარტავს დისკრიმინაციის ცნებას და განსაზღვრავს სამთავრობო უწყებების ვალდებულებებს, უზრუნველყონ ინდივიდუალური და სამოქალაქო უფლებების ბალანსი საზოგადოებაში. კონვენცია აერთიანებს სტერეოტიპების დაძლევის, პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალების ჩართულობის, განათლებაზე, დასაქმებაზე, ჯანდაცვის მომსახურებებსა და სხვა სოციალურ თუ ეკონომიკურ სიკეთეებზე ქალთა წვდომის მუხლებს. 1994 წელს, 179-ზე მეტ ქვეყანასთან ერთად, საქართველომ ხელი მოაწერა მოსახლეობისა და განვითარების საერთაშორისო კონფერენციის (ICPD) სამოქმედო პროგრამას, რომლის მიხედვითაც ქვეყნები შეთანხმდნენ, აღმოფხვრან გოგონების წინააღმდეგ ნებისმიერი ფორმის დისკრიმინაცია და ვაჟებისადმი უპირატესობის მინიჭების საზიანო პრაქტიკა. აღნიშნული შეთანხმებები პასუხობს 2030 წლისთვის დასახულ მდგრადი განვითარების დღის წესრიგს, მათ შორის მდგრადი განვითარების მიზნებსაც (განსაკუთრებით, მე-5 მიზანს), რაც უზრუნველყოფს ყოვლისმომცველ მარეგულირებელ ჩარჩოს, რათა უფრო სწრაფი და ეფექტური იყოს GBSS-ის განმაპირობებელ ფაქტორებსა და შედეგებზე რეაგირება.

## 1.3 რატომ არის კომუნიკაცია და ადვოკატირება მნიშვნელოვანი?

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად საჭიროა გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის საზიანო პრაქტიკის კარგად გააზრება და მისი განმაპირობებელი ძირითადი ფაქტორების კულტურულ, სოციალურ, ეკონომიკურ და დემოგრაფიულ ჭრილში გაანალიზება. როგორც უკვე აღინიშნა, ისტორიულად, GBSS-ის მთავარი გამომწვევი მიზეზი გენდერული უთანასწორობაა, რაც ვაჟებისადმი უპირატესობის მინიჭებით გამოიხა-

ტება. უთანასწორობა, როგორც სოციალური და ოჯახური ნორმა, სათავეს ტრადიციული ფასეულობებიდან და გენდერული ნორმებიდან იღებს და მისი შეცვლა შეიძლება ძალიან რთული იყოს, განსაკუთრებით რეგიონებსა და სოფლებში. მეტიც, საზიანო პრაქტიკაზე რეაგირების ფორმებზე გავლენას ისევ და ისევ GBSS-ის თემაზე დაბალი ცნობიერება, საზოგადოებაში გოგონათა არასათანადო დაფასება, კულტურული სტერეოტიპები და ტრადიციულად დამკვიდრებული გენდერული როლები ახდენს. სწორედ ამიტომ არის საჭირო კომპლექსური მიდგომა, მათ შორის ადვოკატირებისა და კომუნიკაციის აქტივობების გამოყენება, რათა, საქართველოში GBSS-ის საზიანო პრაქტიკა აღმოიფხვრას. ქცევის ცვლილებაზე ორიენტირებული ადვოკატირებისა და კომუნიკაციის აქტივობები უნდა იყოს მთავარი ინსტრუმენტი, რათა აღმოიფხვრას ვაჟებისადმი უპირატესობის მინიჭების პრაქტიკა და შეიცვალოს კულტურული დამოკიდებულება და გენდერული სტერეოტიპები. ეს, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს გენდერული თანასწორობის მიღწევასა და გენდერულ ტრანსფორმაციას.

კომუნიკაცია და ადვოკატირება მიმართულია პოლიტიკის გამტარებლებზე, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებზე (CSO), სხვა გავლენიან პირებსა და, ზოგადად, ფართო აუდიტორიაზე. დაინტერესებულ მხარეებს გავრცელებულ საზიანო პრაქტიკაზე, GBSS-ის სამომავლო დემოგრაფიულ და სოციალურ-ეკონომიკურ შედეგებზე სწორი გზავნილები შეიძლება სხვადასხვა საკომუნიკაციო არხების მეშვეობით მიენოდოს. უნდა მოხდეს გენდერული თანასწორობის მიმართულებით ცვლილებების ადვოკატირებაც. თავის მხრივ, გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის საზიანო პრაქტიკაზე გაზრდილი სენსიტიურობა და ცნობიერება ხელს შეუწყობს მოსახლეობის ქცევის შეცვლას და, ზოგადად, გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებული საკითხების უკეთ გააზრებას.

## 2. პარტნიორული ურთიერთობების ჩამოყალიბება, სტრატეგიის განვითარება და ფინანსური რესურსის მობილიზება

### 2.1 პარტნიორული ურთიერთობების ჩამოყალიბება

იმისათვის, რომ საქართველოში ვაჟებისადმი უპირატესობის მინიჭების საზიანო პრაქტიკა აღმოიფხვრას, რომელიც GBSS-ს უდევს საფუძვლად, და მიღწეულ იქნას გენდერული თანასწორობა, მთავარმა მოქმედმა პირებმა და ორგანიზაციებმა უნდა ითანამშრომლონ როგორც საერთაშორისო, ისე ეროვნულ თუ ადგილობრივ დონეზე. სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეს შორის პარტნიორული ურთიერთობების დამყარების მამოძრავებელი ფაქტორი უნდა იყოს ცოდნის, გამოცდილებისა და რესურსების გაზიარება, რათა შეთანხმებულად, დუბლირების გარეშე განხორციელდეს აქტივობები და ეფექტურად იქნას გამოყენებული თითოეული პარტნიორის რესურსი დასახული ამოცანების მისაღწევად (იხ. 1-ლი ცხრილი).

სასურველია, გაძლიერდეს საერთაშორისო ორგანიზაციებსა და უცხო ქვეყნების საელჩოებთან თანამშრომლობის ქსელი, რომელიც მნიშვნელოვანია რესურსების მობილიზების, ადამიანის უფლებებისა და გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის გეგმებისა და სტრატეგიების განხორციელების კუთხით. ამასთან, აღნიშნული თანამშრომლობის ჩამოყალიბება მნიშვნელოვანია ერთობლივი კვლევების ჩატარების კუთხით, რომელთა მიზანაც ცოდნასა და მტკიცებულებაზე დაფუძნებული ადვოკატირების კამპანიის გაძლიერება იქნება.



● სამუშაო შეხვედრა გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის პრევენციის საკითხებზე  
ფოტო: UNFPA Georgia / ვლადიმერ ვალიშვილი

საქართველოს მთავრობის უშუალო ვალდებულებაა, ცვლილებები შეიტანოს უკვე არსებულ კანონებში და სრულად ამოქმედოს კანონმდებლობა და პოლიტიკა, რომლებიც თანხვედრაში იქნება საერთაშორისო შეთანხმებებთან. GBSS-ის პრაქტიკის აღმოფხვრის საკითხში პარლამენტმა აქტიურად უნდა ითანამშრომლოს ცალკეულ სამინისტროებსა და უწყებათაშორის კომისიებთან. ადგილობრივ და ცენტრალურ მთავრობებსაც შეუძლიათ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანონ კომუნიკაციასა და ადვოკატირებაზე დაფუძნებული აქტივობების განვითარებასა და განხორციელებაში.

საქართველოს გარკვეულ რეგიონებში სქესის შერჩევის ტენდენციის კლება, დედაქალაქთან შედარებით, ნელა მიმდინარეობს. ამიტომ კომუნიკაციისა და ადვოკატირების კამპანია სწორედ ამ რეგიონებზე უნდა ფოკუსირდეს. ამ პროცესში საჭიროა რეგიონულ არასამთავრობო (NGO) და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან (CSO) მჭიდრო თანამშრომლობა. მსგავსი ორგანიზაციები ადგილზე არსებულ მდგომარეობაში უკეთ ერკვევიან, ამიტომ მათ შეუძლიათ გადამწყვეტი როლი ითამაშონ მიზნობრივ ჯგუფებზე წვდომისა და მთავარი გზავნილების ფართოდ გავრცელების პროცესში. როცა საქმე ახალ თაობებთან მუშაობასა და გენდერული თემების მათთან გაშუქებას ეხება, განსაკუთრებით ეფექტურები ახალგაზრდული ორგანიზაციები იქნებიან.

კომუნიკაციასა და ადვოკატირების მიმართულებით, ეროვნული და ადგილობრივი მედია უნდა განიხილებოდეს ერთ-ერთ ძირითად პარტნიორად. ისეთ მედია-საშუალებებს, როგორებიცაა ტელევიზია, რადიო, ბეჭდური მედია და ონლაინ პლატფორმები, საუკეთესოდ შეუძლიათ საზოგადოებას მიაწოდონ მთავარი გზავნილები და გაზარდონ კამპანიის ცნობადობა. მეტიც, გრძელვადიან პერიოდში, მედიის მიერ მიწოდებულ გზავნილებს შეუძლია ფართოდ გავრცელებული ნორმები და ქცევა შეცვალოს. სოციალური ქცევის ცვლილებაში, მედიასთან ერთად, მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა ბლოგერებსა (ე.წ. ინფლუენსერებს) და გავლენიან აქტივისტებსაც შეუძლიათ.

მნიშვნელოვან პარტნიორებად განიხილებიან ჯანდაცვის, განსაკუთრებით კი სქესობრივი და რეპროდუქციული სერვისების მიმწოდებლები და ულტრაბგერითი კვლევების სპეციალისტები. სამედიცინო სფეროს აღნიშნულ წარმომადგენლებს უშუალო შეხება აქვთ შვილის მომლოდინე წყვილებთან, სარგებლობენ ნდობის მაღალი ხარისხით და, შესაბამისად, შეუძლიათ დადებითი გავლენის მოხდენა. ჯანდაცვაში ყოველდღიურად შეტანილი წვლილის პარალელურად, მათ ძალუძთ, ხელი შეუწყონ უფრო თანასწორი, მდგრადი და ჰარმონიული საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესს, სადაც ბავშვის დაბადება, განურჩევლად სქესისა, თანაბრად სასურველი, სასიხარულო და ფასეულია. უფრო კონკეტულად კი, სამედიცინო სფეროს წარმომადგენლებს შეუძლიათ გარკვეული როლი ითამაშონ გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის შემცირებაში. ამისათვის საჭიროა, აიმაღლონ ცოდნა აღნიშნული პრაქტიკის გამომწვევ მიზეზებსა და შედეგებზე, ასევე, უფრო ეთიკურად გამოიყენონ სქესის დადგენის ტექნოლოგიები.

მნიშვნელოვანია რელიგიურ ლიდერებთან თანამშრომლობა, რადგან მათაც შეუძლიათ წვლილი შეიტანონ საზიანო პრაქტიკის აღმოფხვრაში. საქართველოს მოსახლეობის 83,4% მართლმადიდებელი ქრისტიანია, 10,7% – მუსლიმი, 2,9% კი – სომხური სამოციქულო ეკლესიის წევრია<sup>2</sup>. CRRC-ის ბოლო კვლევის მიხედვით<sup>3</sup>, ქვეყნის მოსახლეობის 47% – სრულიად, 31% კი უმეტესად ენდობა იმ რელიგიურ ინსტიტუტს, რომელსაც ეკუთვნის, რაც აღნიშნული ინსტიტუტების დიდ გავლენაზე მიუთითებს. შესაბამისად, რელიგიურ ლიდერებთან დიალოგის წამოწყება იმ მიზნით, რომ მათ გოგონებისა და ბიჭების მიმართ თანაბარი დამოკიდებულება წახალისონ საზოგადოებაში, პრობლემასთან გამკლავების ერთ-ერთ შესაძლებლობას წარმოადგენს. ამასთან, ძირითადი გზავნილების შემუშავებისას საჭიროა მაქსიმალური სიფრთხილე და სიფაქიზე. აქცენტები უნდა გაკეთდეს საზიანო პრაქტიკების, მათ შორის ადრეული ქორწინების, აღმოფხვრის მნიშვნელობაზე, ხაზი უნდა გაესვას გოგონებისა და ვაჟების მიმართ თანაბარი დამოკიდებულების აუცილებლობასაც.

**ცხრილი 1: პარტნიორული ურთიერთობების ჩამოყალიბება**

| დაინტერესებული მხარეები  | თანამშრომლობის სფეროები და მოსალოდნელი შედეგები   |
|--|---|
| <p><b>საერთაშორისო ორგანიზაციები</b></p> <p><b>საერთაშორისო</b> გაეროს სააგენტოები</p> <p>საელჩოები</p> <p>ევროკავშირი</p> | <ul style="list-style-type: none"> <li>• თანამშრომლობა გეგმებისა და სტრატეგიების განვითარება-გაძლიერებისათვის, რათა გაუმჯობესდეს ადამიანის უფლებებსა და გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებული საკითხები;</li> <li>• კომუნიკაციისა და ადვოკატირების საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება;</li> <li>• ერთობლივი კვლევის წამოწყება;</li> <li>• ახალ ცოდნაზე დაყრდნობით ისეთი პროდუქტების შექმნა, რომლებიც გააძლიერებს მტკიცებულებაზე დაფუძნებული პოლიტიკის ადვოკატირებას.</li> </ul> |

2 მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის შედეგები.

3 ძალადობრივი ექსტრემიზმის წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოში - საჭიროებების შეფასება, 2018.

| დაინტერესებული მხარეები  | თანამშრომლობის სფეროები და მოსალოდნელი შედეგები  |
|--|--|
| <p>ეროვნული</p> <p>სამთავრობო სტრუქტურები:</p> <p>საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭო</p> <p>გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია</p> <p>შესაბამისი სამინისტროები</p> <p>ახალგაზრდობის სააგენტო</p> | <ul style="list-style-type: none"> <li>• გენდერული თანასწორობის შესახებ საკანონმდებლო ჩარჩოს გაძლიერება;</li> <li>• ოჯახის მხარდამჭერი პოლიტიკის ადვოკატირება და ხელშეწყობა;</li> <li>• კანონის აღსრულების გაძლიერებული მონიტორინგი და ქალთა მიერ საკუთარი უფლებებით სრულფასოვნად სარგებლობის ხელისშემშლელი საკითხების მოგვარება;</li> <li>• გენდერული თანასწორობის განმტკიცებისა და საზიანო გენდერული სტერეოტიპებისა და პრაქტიკის აღმოფხვრაზე ორიენტირებული ისეთი პოლიტიკის, ღონისძიებებისა და სამოქმედო გეგმების განხორციელება, რომლებიც სოფლად მცხოვრებ მოსახლეობასა და ეთნიკურ უმცირესობებზეა გათვლილი;</li> <li>• ქალებისათვის სექსუალურ და რეპროდუქციულ ჯანმრთელობასა და უფლებებზე კვალიფიციურ ინფორმაციაზე, განათლებასა და სერვისებზე წვდომის უზრუნველყოფა;</li> <li>• აქტიური მუშაობა იმ კულტურული სტერეოტიპების აღმოსაფხვრელად, რომლებიც გოგონებს არათანაბარ სიტუაციაში აყენებს, რაც ხშირად დისკრიმინაციული დამოკიდებულებისა და საზიანო პრაქტიკის ნახალისებას იწვევს;</li> <li>• განათლების ფორმალურ სისტემაში გენდერული თანასწორობის, სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის საგანმანათლებლო პროგრამის ინტეგრირება;</li> <li>• ახალგაზრდობში არაფორმალური განათლების, განსაკუთრებით, გენდერული თანასწორობის, სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების შესახებ პროგრამების გაძლიერება.</li> </ul> |
| <p>მედია</p> <p>ე.წ. სოციალური მედიის ინფლუენსერები</p>  | <ul style="list-style-type: none"> <li>• რეპორტაჟები, სატელევიზიო სიუჟეტები, თოქ-შოუები, სტატიები და ბლოგები, რომლებიც ყურადღებას ამახვილებს, ერთი მხრივ, ვაჟებისადმი უპირატესობის მინიჭებისა და GBSS-ის დამახინჯებულ სტერეოტიპებზე, მეორე მხრივ კი, ისეთი გოგონებისა და ქალების წარმატების ისტორიებზე, რომლებიც შეიძლება გახდნენ მისაბაძი მაგალითები და დაუპირისპირდნენ არსებულ სტერეოტიპებს;</li> <li>• გენდერულ თემებზე ორიენტირებული მედია-პუბლიკაციებისა და რეპორტაჟების წახალისება.</li> </ul>   |
| <p>სამედიცინო საზოგადოება</p> <p>პროფესიული სამედიცინო ასოციაციები</p> <p>აკადემიური წრეები და კვლევითი დანესებულებები</p>   | <ul style="list-style-type: none"> <li>• GBSS-ის საზიანო შედეგებზე სამედიცინო პერსონალის ცნობიერების გაზრდა;</li> <li>• ნაყოფის სქესის დადგენის ტექნოლოგიების ეთიკური გამოყენების წახალისება;</li> <li>• ჯანდაცვის სფეროში დასაქმებულთათვის სახელმძღვანელო პრინციპებისა და რეკომენდაციების შემუშავების მხარდაჭერა;</li> <li>• კვლევებში გენდერული ნიშნით სქესის შერჩევისა და ვაჟებისადმი უპირატესობის მინიჭების საკითხების გათვალისწინება.</li> </ul>  |

| დაინტერესებული მხარეები   | თანამშრომლობის სფეროები და მოსალოდნელი შედეგები   |
|---|---|
| <p>თვითმმართველობის ორგანოები:<br/>ადგილობრივ მუნიციპალიტეტებში არსებული ქალთა ოთახები</p> <p>გენდერული თანასწორობის ადგილობრივი საბჭოები</p> <p>ადგილობრივი მუნიციპალიტეტები</p> | <ul style="list-style-type: none"> <li>• GBSS-ის აღმოფხვრის მექანიზმების ინტეგრირება შესაბამის ადგილობრივ სტრატეგიებსა და სამოქმედო გეგმებში;</li> <li>• GBSS-ის აღმოფხვრის მექანიზმების გამოყენებისთვის საჭირო რესურსების განაწილებაზე მოლაპარაკებების წარმოება;</li> <li>• GBSS-ის და ვაჟებისადმი უპირატესობის მინიჭების საკომუნიკაციო კამპანიების განსახორციელებლად ტექნიკური შესაძლებლობების გაძლიერება;</li> <li>• ეთნიკური უმცირესობების ინტეგრირებისა და მათთვის ინფორმაციასა და რესურსებზე წვდომის ხელშეწყობა;</li> <li>• GBSS-ის საზიანო პრაქტიკაზე საზოგადოების, განსაკუთრებით კი სოფლად მცხოვრები მოსახლეობის, ცნობიერების ამაღლება;</li> <li>• ახალგაზრდებისთვის სამუშაო შეხვედრებისა და ზამთრის ან საზაფხულო ბანაკების მოწყობა.</li> </ul> |
| <p>ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოება (CSO) და არასამთავრობო ორგანიზაციები (NGO)</p>  | <ul style="list-style-type: none"> <li>• ძირითადი გზავნილების მთელი ქვეყნის მასშტაბით გავრცელებით GBSS-ის საზიანო პრაქტიკაზე ცნობიერების ამაღლება;</li> <li>• CSO-ებისა და NGO-ების კომპეტენციის გაძლიერება, რათა ეფექტურად წარმართონ GBSS-ის საზიანო პრაქტიკის აღმოფხვრის ადვოკატირებისა და კომუნიკაციის აქტივობები;</li> <li>• ისეთი აქტივობების მხარდაჭერა, რომლებიც საზოგადოების გენდერული ქცევისა და სტერეოტიპების შეცვლას ემსახურება.</li> </ul>  |
| <p>მედია</p> <p>სოციალური მედიის ე.წ. ინფლუენსერები</p>   | <ul style="list-style-type: none"> <li>• ისეთი რეპორტაჟების, სატელევიზიო სიუჟეტების, თოქ-შოუების, სტატიებისა და ბლოგების წახალისება, რომლებიც მეტ ყურადღებას ამახვილებს გენდერის სენსიტიურობაზე და ვაჟებისადმი უპირატესობის მინიჭების აღმოფხვრაზე;</li> <li>• მედიაში ყურადღების გამახვილება იმ გოგონებისა და ქალების წარმატების ისტორიებზე, რომლებიც შეიძლება მისაბაძი მაგალითები გახდნენ და დაუპირისპირდნენ არსებულ გენდერულ სტერეოტიპებს.</li> </ul>   |
| <p>ჯანდაცვის სფეროს მუშაკები</p>  | <ul style="list-style-type: none"> <li>• ნაყოფის სქესის დადგენის ტექნოლოგიების ეთიკური გამოყენების ადვოკატირება;</li> <li>• ჯანდაცვის სფეროს მუშაკებში გენდერული საკითხებისადმი სენსიტიურობის გაზრდა.</li> </ul>  |
| <p>რელიგიური ლიდერები</p>   | <ul style="list-style-type: none"> <li>• გოგონებისა და ბიჭების მიმართ თანაბარი დამოკიდებულების წახალისება.</li> </ul>   |



## 2.2 სტრატეგიის შემუშავება

შესაბამისი პარტნიორების იდენტიფიცირებისა და საერთო მიზნების დასახვის შემდეგ, მომდევნო ნაბიჯი დასახული მიზნების მისაღწევად საჭირო სტრატეგიის შემუშავებაა. ზოგადი სტრატეგია უნდა შემუშავდეს გრძელვადიან სამოქმედო გეგმასთან ერთად. ეს უკანასკელი კი უნდა ითვალისწინებდეს არსებულ ვითარებას, ადგენდეს სამომავლო მიზნებს და განსაზღვრავდეს ცვლილებაზე ორიენტირებულ შემდგომ ნაბიჯებს. ცნობიერების ამაღლება უნდა მოიაზრებოდეს ვაჟებისადმი უპირატესობის მინიჭების შემცირებისკენ გადადგმულ ერთ-ერთ უმთავრეს ნაბიჯად, ამიტომ პარტნიორებთან ერთად შემუშავებული სტრატეგიები უნდა ითვალისწინებდეს საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისთვის საჭირო აქტივობებს. სტრატეგიის კიდევ ერთი ამოცანა უნდა იყოს აღნიშნული მიზნების მიღწევის ყველაზე ეფექტური გზების მოძებნა.

მაგალითისათვის შეგვიძლია მოვიყვანოთ გაეროს მოსახლეობის ფონდის საქართველოს ოფისის სტრატეგიული მიდგომა (იხ. მე-2 ცხრილი), რომელშიც საუბარია იმაზე, თუ რამდენად მნიშვნელოვანია საზოგადოების ცოდნა გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის, ვაჟებისადმი უპირატესობის მინიჭების, საზოგადოებაში გოგონების დაბალი ღირებულების, გავრცელებული კულტურული სტერეოტიპებისა და გენდერული როლების შესახებ.

### ცხრილი 2: UNFPA-ის საქართველოს ოფისი – გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის საპასუხო სტრატეგიული მიდგომა

საქართველოში გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის საზიანო პრაქტიკის აღმოფხვრისათვის საჭირო პროგრამული ღონისძიებები მოიცავს შემდეგ მიმართულებებს: ცოდნის გაღრმავება და მტკიცებულებაზე დაფუძნებული პოლიტიკის ადვოკატირების ინიციატივების ხელშეწყობა; საზიანო პრაქტიკების აღმოსაფხვრელად პოლიტიკის ჩარჩოს გაძლიერება და გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა; GBSS-ის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება კომუნიკაციისა და ადვოკატირების კამპანიის საშუალებით, რომელიც აერთიანებს ახალგაზრდებს, რეპროდუქციული ასაკის წყვილებს, ადგილობრივი თემის, ჯანდაცვის სექტორის, მედიისა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების წარმომადგენლებს.

- » UNFPA-ის საქართველოს ოფისი ხელს უწყობს ცოდნის გაღრმავებას, რათა უზრუნველყოს მტკიცებულებებზე დაფუძნებული სტრატეგიის შემუშავება, დაბადებისას სქესთა შორის დარღვეული თანაფარდობისა და გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის პრაქტიკის საპასუხოდ. მსგავსი ინიციატივები მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება ისეთი ღონისძიებებით, როგორცაა: გენდერული ნიშნით სქესის შერჩევისა და ვაჟებისადმი უპირატესობის მინიჭების საზიანო პრაქტიკაზე თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევების ჩატარება, ყოვლისმომცველი ანგარიშების შემუშავება და ქვეყნის პროფილისა და ფაქტების უწყისის შექმნა-განახლება;
- » გენდერულ და სამართლებრივ ძრილში, UNFPA-ის საქართველოს ოფისი მხარს უჭერს საგანმანათლებლო და საადვოკატო მასალების შექმნასა და ცნობიერების ასამაღლებელი ღონისძიებების განხორციელებას. პრობლემის აღიარებისა და გოგონებისა და ვაჟებისადმი თანაბარი დამოკიდებულების ნახლისება შეცვლის არსებულ გენდერულ სტერეოტიპებს. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ეთნიკური უმცირესობებით (ეთნიკურად აზერბაიჯანელი მოსახლეობით) დასახლებულ რეგიონებს, სადაც დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობა ბუნებრივი დონიდან მნიშვნელოვნადაა გადახრილი. არსებული მტკიცებულებებზე დაფუძნებული ცნობიერების ამაღლებისაკენ მიმართული ღონისძიებები ყურადღებას ამახვილებს ქალთა რეპროდუქციული უფლებების დაცვაზე;

- » ამასთან, მნიშვნელოვანია რეპროდუქციული ჯანმრთელობის სერვისის მიმწოდებლებსა და მედიის ნარ-მომადგენლებს შორის ვაჭიებისადმი უპირატესობის მინიჭებასა და GBSS-სთან დაკავშირებული საკითხების შესახებ ცნობიერებისა და გენდერული სენსიტიურობის ამაღლება, რაც, თავის მხრივ, ზრდის მათ ჩართულობას ამ საზიანო პრაქტიკის პრევენციის პროცესში;
- » UNFPA-ის სტრატეგიული ხედვის თანახმად, ვაჭისათვის უპირატესობის მინიჭების პრევენციისა და გენდერული თანასწორობის განმტკიცებისათვის ახალგაზრდებსა და მომავალ მშობლებს (რეპროდუქციული ასაკის წყვილები – 18-39) განსაკუთრებული როლი ენიჭებათ. შესაბამისად, ადვოკატირებისა და საკომუნიკაციო კამპანიები ცნობიერების ამაღლებას ემსახურება და მიმართულია საზოგადოებაში გოგონებისა და ქალების მიმართ დისკრიმინაციული პრაქტიკის აღმოფხვრისკენ, რაც ხელს უწყობს ჰარმონიული, თანასწორი და მდგრადი საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესს;
- » UNFPA-ის საქართველოს ოფისის სტრატეგიული გეგმის ერთ-ერთი მიმართულება, პარტნიორული ურთიერთობების ჩამოყალიბება და პარტნიორების ტექნიკური შესაძლებლობების გაძლიერებაა. პარტნიორთა ტექნიკური შესაძლებლობების გაძლიერება, ადგილობრივ და ეროვნულ დონეზე, ხელს შეუწყობს ინფორმირებულობის გაზრდას სხვადასხვა პოლიტიკის ინსტრუმენტის შესახებ და პარტნიორულ ურთიერთობებს დაამყარებს ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულებთან (მუნიციპალიტეტებთან), გენდერული თანასწორობის ადგილობრივ საბჭოებთან, ქალთა ოთახებთან (მუნიციპალიტეტების მიერ ქალთა შეკრებებისთვის გამოყოფილი სპეციალური სივრცეები), სოციალურ აქტივისტებთან, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებსა და სკოლებთან. ადგილობრივ პარტნიორებთან თანამშრომლობა ეთნიკურ უმცირესობებს (შედარებით დახურულ ჯგუფებს) აძლევს ინფორმაციაზე წვდომის მეტ შესაძლებლობას და, როგორც ჰოლისტიკური მიდგომის საკვანძო ღერძი, ხელს უწყობს ვაჭებისადმი უპირატესობის მინიჭებასა და GBSS-ის კუთხით საკომუნიკაციო და საინფორმაციო კამპანიების განხორციელებას;
- » UNFPA-ის საქართველოს ოფისი თანამშრომლობს გაეროს სხვა სააგენტოებთან, პროგრამებსა (მაგ. შვედეთის მთავრობის მიერ დაფინანსებული გაეროს ერთობლივი პროგრამა გენდერული თანასწორობისთვის, 2016-2020 წწ.) და განვითარების საკითხებზე მომუშავე ისეთ პარტნიორებთან, როგორიცაა მსოფლიო ბანკი, რათა ერთობლივი ძალისხმევით ხელი შეუწყოს GBSS-ის საკითხებზე ცნობიერების ამაღლებას და ამ საზიანო პრაქტიკის პრევენციას.

## 2.3 ფინანსური რესურსის მობილიზება

საერთაშორისო, ეროვნულ და ადგილობრივ ერთეულებთან თანამშრომლობა შეიძლება სასარგებლო აღმოჩნდეს არა მხოლოდ ცოდნისა და გამოცდილების გაზიარების, არამედ რესურსების, მათ შორის, ფინანსური რესურსების მობილიზების თვალსაზრისითაც. ქვეყანაში არსებული მდგომარეობის გაუმჯობესებისა და განვითარების ხელშეწყობისათვის საქართველოში არსებული საერთაშორისო ფონდები და უცხო ქვეყნის საელჩოები აქტიურად მუშაობენ გენდერული თანასწორობის საკითხებზე და ფინანსური დახმარების გზით (ძირითადად, გრანტების გაცემით), მხარს უჭერენ შესაბამის პროგრამებს.

სახელმწიფო ერთეულებთან თანამშრომლობა, მათი ფართო ადმინისტრაციული რესურსის გათვალისწინებით, შესაძლოა, მნიშვნელოვანი აღმოჩნდეს, რესურსებისა და ფინანსური მხარდაჭერის გაძლიერების კუთხით. სახელმწიფო ერთეულებს შეუძლიათ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანონ ისეთი ღონისძიებების განხორციელებაში, როგორიცაა საკომუნიკაციო მასალების გავრცელება, სემინარებისა და სამუშაო შეხვედრებისთვის სივრცის გამოყოფა, საზაფხულო და ზამთრის ბანაკების ორგანიზება და სხვ. მნიშვნელოვანია ადგილობრივი მუნიციპალიტეტების ჩართულობა, რომლებსაც ადვოკატირებისა და საკომუნიკაციო ღონისძიებების ადმინისტრაციული მხარდაჭერა შეუძლიათ.

### 3. კომუნიკაციის სტრატეგიის ფორმირება

სტრატეგიის სწორად შემუშავება ხელს უწყობს საკომუნიკაციო ღონისძიებების კოორდინირებულ და ეფექტურ განხორციელებას, რაც, საბოლოოდ, დასახული მიზნების მიღწევას უზრუნველყოფს. სტრატეგია უფრო ნათლად წარმოაჩენს საჭირო ღონისძიებებსა და რესურსებს და მათი უკეთ გამოყენების გზებს. ამრიგად, გონივრულად დაგეგმილი კამპანია განაპირობებს, საჭირო დროს საჭირო გზავნილის შესაბამის აუდიტორიამდე მიტანას.

#### 3.1 კომუნიკაციის მიზნების განსაზღვრა

კომუნიკაციისა და ადვოკატირების მთავარი მიზანია საქართველოში გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის საზიანო პრაქტიკის აღმოფხვრა. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში ვაჟებისადმი უპირატესობის მინიჭება ჯერ კიდევ აქტუალურია, მნიშვნელოვანია, ყურადღება გამხვილდეს გენდერული სენსიტიურობისა და **GBSS-ის საზიანო პრაქტიკის შესახებ ცნობიერების ამაღლებაზე. აქტივობები, რომლებიც მიზნად ისახავს გოგონათა მიმართ საზოგადოების აღქმისა და დამოკიდებულების ცვლილებას და ქალის როლის გაზრდას საზოგადოებაში, ხელს შეუწყობს აღნიშნული მიზნის მიღწევას, რაც მნიშვნელოვანია გენდერული თანასწორობის გაძლიერებისთვის საქართველოში.**

#### რატომ უნდა იყოს ცნობიერების ამაღლება კამპანიის უმთავრესი მიზანი?

UNFPA-ის საქართველოს ოფისმა 2014 წელს მსოფლიო ბანკთან თანამშრომლობით, გაეროს ერთობლივი პროგრამის გენდერული თანასწორობისთვის ფარგლებში, ქვეყნის ოთხ სხვადასხვა რეგიონში (თბილისი, მცხეთა-მთიანეთი, აჭარა და სამეგრელო-ზემო სვანეთი) ჩატარა თვისებრივი ხასიათის სავლე კვლევა, რომელიც მოიცავდა სიღრმისეულ ინტერვიუებს საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფის წარმომადგენლებთან. კვლევის თანახმად:

- გამოკითხულთა დიდი ნაწილის თქმით, მათ არასდროს სმენიათ სქესის შერჩევის მიზნით ჩატარებულ აბორტზე. ასეთ რესპონდენტთა უმეტესობა მამაკაცი იყო;
- დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის უახლესი სტატისტიკის გაცნობის შემდეგაც კი, გამოკითხულები ეჭვქვეშ აყენებდნენ პრობლემის არსებობას. შესაბამისად, ვაჟებისადმი უპირატესობის მინიჭების ინტენსივობის საკითხი ხშირად იყო უგულებელყოფილი ან უარყოფილი;
- გამოკითხულთა შორის, რომლებსაც გარკვეული წარმოდგენა ჰქონდათ სქესის შერჩევის მიზნით ჩატარებულ აბორტებზე, გარკვევით აღნიშნეს, რომ მხარს არ უჭერდნენ აღნიშნულ პრაქტიკას და მას გაბატონებულ „ქართულ ტრადიციებს“ მიაწერდნენ;
- 2010 წლის კავკასიის ბარომეტრის კვლევის მიხედვით, მხოლოდ ერთი შვილის ყოლის შემთხვევაში, გამოკითხულთა 46% ამჯობინებდა ვაჟის ყოლას, 9% – ქალიშვილის ყოლას, 45%-ისთვის კი შვილის სქესს მნიშვნელობა არ ჰქონდა.

ეს შედეგები აჩვენებს, რომ ვაჟების მიმართ უპირატესობის მინიჭებასთან დაკავშირებით 2014 წელს ცნობიერება დაბალი იყო, განსაკუთრებით თბილისს გარეთ. ISET-ის კვლევითი ინსტიტუტის მიერ, გაეროს მოსახლეობის ფონდთან თანამშრომლობით, კახეთში, ქვემო ქართლში, სამცხე-ჯავახეთსა და სამეგრელო-ზემო სვანეთში ჩატარებულმა ბოლო კვლევამ (2019 წ.) სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის გავლენა ვაჟისათვის უპირატესობის მინიჭებასა და გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის საზიანო პრაქტიკაზე საქართველოში, აჩვენა, რომ სქესის შერჩევის შესახებ ინფორმირებულობის დონე მაღალია ოთხივე გამოკითხულ რეგიონში. ყველა მონაწილე თანხმდება, რომ სქესის შერჩევის პრაქტიკა ადრე უფრო ფართოდ იყო გავრცელებული, ახლა კი შემცირებულია. აღსანიშნავია, რომ გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის, როგორც საზიანო პრაქტიკის, აღქმა რეგიონების მიხედვით განსხვავდება. ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში რესპოდენტები

გენდერული ნიშნით სქესის შერჩევას საზიანო პრაქტიკად არ აღიქვამენ და ხაზს უსვამენ გვარის გაგრძელებისათვის ვაჟის გაჩენის მნიშვნელობას. მათგან განსხვავებით, კახეთსა და სამეგრელო-ზემო სვანეთში გამოვლინდა უარყოფითი დამოკიდებულება გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის მიმართ.

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, კომუნიკაცია და ადვოკატირება მიზნად უნდა ისახავდეს მოსახლეობის ჯგუფების მობილიზებას და, ადგილობრივი კულტურული ფასეულობების გათვალისწინებით, ხელს უწყობდეს გოგონებისა და ვაჟების თანაბრად დაფასებას. ამრიგად, აქტივობები მიმართული უნდა იყოს ვაჟებისადმი უპირატესობის მინიჭების პრაქტიკის აღმოფხვრასა და GBSS-ის ცნობიერების ამაღლებაზე, განსაკუთრებით კი მის მძიმე სოციალურ და დემოგრაფიულ შედეგებზე, რათა საზოგადოების წევრებმა სრულად გაიაზრონ საკუთარი „ინდივიდუალური გადაწყვეტილების“ გავლენა მთელ საზოგადოებაზე. გარდა ამისა, კომუნიკაციის კამპანიამ, როგორც ინდივიდუალურ, ისე საზოგადოებრივ დონეზე, ხელი უნდა შეუწყოს გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის საკითხზე დიალოგის წამოწყებას და წახალისოს ისეთი გარემოს შექმნა, სადაც გოგონებსა და ვაჟებს თანაბრად აფასებენ და ისინი სრულად ახერხებენ საკუთარი პოტენციალის რეალიზებას.

## რატომაა მნიშვნელოვანი ადვოკატირება და კომუნიკაცია ადგილობრივ და სახელმწიფო დონეზე?

კულტურული ფასეულობების, ტრადიციებისა და ეთნიკური წარმომავლობის მხრივ, საქართველო საკმაოდ მრავალფეროვანი ქვეყანაა. შესაბამისად, დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობა ქვეყნის რეგიონების მიხედვით ერთმანეთისგან მნიშვნელოვანად განსხვავდება. უფრო ზოგადად კი, ქალაქსა და სოფელს შორის განსხვავება დიდია. თბილისში (ქვეყნის დედაქალაქი და უდიდესი ქალაქი) 2010-2014 წლებში დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობა ერთ-ერთი ყველაზე დაბალი (105) იყო მაშინ, როცა კახეთში, ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის დონე ქვეყნის საშუალო მაჩვენებელს საგრძნობლად აღემატებოდა. ამრიგად, ქვეყნის კონტექსტიდან გამომდინარე, საკომუნიკაციო კამპანიის ეროვნულ დონეზე წარმართვის პარალელურად, უნდა აღინიშნოს ცალკეულ რეგიონზე მორგებული საინფორმაციო კამპანიების შემუშავებისა და განხორციელების საჭიროებაც, რომელიც ადგილობრივ დონეზე მიიტანს კონკრეტულ გზავნილებს ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში.

ზემოაღნიშნული მიდგომის მაგალითია UNFPA-ის საქართველოს ოფისის საკომუნიკაციო კამპანია, რომელიც მიმართულია საზიანო პრაქტიკების აღმოსაფხვრელად. (იხ. მე-3 ცხრილი).

### ცხრილი 3: კომუნიკაციის კამპანია ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე

UNFPA-ის ოფისი საქართველოში, პარტნიორებთან (საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო (რომელიც მართავს სოფლად არსებულ საზოგადოებრივ ცენტრებს), გენდერული თანასწორობის საბჭოები, ადგილობრივ მუნიციპალიტეტებში არსებული ქალთა ოთახები) თანამშრომლობით ერთობლივად მუშაობს საზიანო პრაქტიკების აღმოფხვრაზე, ადგილობრივ თუ ცენტრალურ დონეზე:

- » UNFPA-ის საქართველოს ოფისმა, მსოფლიო ბანკთან ერთად, ვაჟებისადმი უპირატესობის მინიჭებისა და გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის აღმოსაფხვრელად შეიმუშავა კომუნიკაციისა და ადვოკატირების კამპანია „ნუ განასხვავებ, გოგონაც და ბიჭიც შენი მომავალია“. საკომუნიკაციო კამპანია 2017-2018 წლებში ადგილობრივ დონეზე, **ქვემო ქართლსა და კახეთში** ჩატარდა, ვინაიდან კვლევის<sup>4</sup> მიხედვით, აღნიშნულ რეგიონებში მცხოვრებ აზერბაიჯანულ თემში დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობა, ქვეყნის მასშტაბით, ყველაზე მაღალია. თანაც, აღნიშნულ ჯგუფში ადრეული ქორწინება კვლავ გავრცელებულ პრაქტიკად რჩება;

4 დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის ტენდენციები საქართველოში - მიმოხილვა ერთობლივად შეიმუშავეს საქსტატმა და UNFPA-ის საქართველოს ოფისმა მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის მონაცემებზე დაყრდნობით (2017 წ.).

- » კამპანია მიზნად ისახავდა მოზარდებისა და ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლებას მათ უფლებებზე, ადრეულ ასაკში ქორწინებასა თუ ვაჟებისადმი უპირატესობის მინიჭების საზიანო პრაქტიკაზე. კამპანიაში, ადგილობრივ საგანმანათლებლო რესურსცენტრებსა (ექვემდებარება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს) და სკოლების დირექტორებთან ერთად, აქტიურად იყვნენ ჩართული ახალგაზრდები, რომლებიც ცოდნისა და ინფორმაციის გასავრცელებლად საინფორმაციო შეხვედრებს მართავდნენ. ახალგაზრდებმა განმანათლებლის როლები მოიხრეს ქვემო ქართლისა და კახეთის 40-ზე მეტ საშუალო სკოლაში;
- » კამპანიის ფარგლებში მოწვეულ იქნენ მშობლები და პედაგოგები ქვემო ქართლიდან და კახეთიდან, რათა წარმართულიყო დიალოგი ბავშვთა და ადრეულ ასაკში ქორწინებაზე, ვაჟებისადმი უპირატესობის მინიჭებასა და გენდერული ნიშნით სქესის შერჩევაზე;
- » ეთნიკურად ქართველ და აზერბაიჯანელ მოსახლეობასთან, რომლის ძირითადი სამიზნე აუდიტორია რეპროდუქციული ასაკში (18-39 წელი) მყოფი წყვილები იყვნენ, ჩატარდა შეხვედრები, სადაც განიხილებოდა ვაჟებისადმი უპირატესობის მინიჭებისა და გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის დისკრიმინაციული პრაქტიკა;
- » გაიმართა ახალგაზრდული ფესტივალი „ახალგაზრდები თანასწორობისთვის“, რომელიც მოიცავდა: სტრიტარტსა და ფოტოგამოფენას, საზოგადოებისთვის ცნობადი სახეების სიტყვით გამოსვლებს გენდერული თანასწორობის მნიშვნელობასა და გოგონებისა და ვაჟების თანასწორობაზე. ფესტივალის საშუალებით, კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი, ახალგაზრდების ჩართულობის მნიშვნელობას, გენდერული სტერეოტიპების დაძლევისა და გენდერული თანასწორობის განმტკიცების გრძელვადიან პროცესში;
- » კამპანიის ფარგლებში, გაძლიერდა ძალისხმევა რეპროდუქციული ჯანმრთელობის სერვისის მიმწოდებლების ცნობიერების ამაღლებისა და გენდერული სენსიტიურობის გაზრდის მიზნით. ქვემო ქართლის რეგიონში, განხორციელდა საინფორმაციო შეხვედრების სესია სერვისის მიმწოდებლებისთვის, რათა მომხდარიყო ნაყოფის სქესის დადგენის ტექნოლოგიების უფრო ეთიკური გამოყენების წახალისება.

საგანგებოდ შემუშავებული მოდულის ფარგლებში, ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრები, სადაც გამოყენებული იყო სხვადასხვა ჯგუფზე მორგებული საინფორმაციო, საგანმანათლებლო და საკომუნიკაციო (ბროშურები, კომიქსები) მასალები. მომზადდა ვიზუალური მასალაც, რისი მაგალითიცაა ანიმაცია „გოგონების მამა“, რომელმაც, სიუჟეტისა და პერსონაჟების წყალობით, გაზარდა აუდიტორიის დაინტერესება. აღსანიშნავია, რომ საინფორმაციო შეხვედრები მიმდინარეობდა ქართულ და აზერბაიჯანულ ენებზე, რომელსაც უძღვებოდნენ წინასწარ მომზადებული ტრენერები ადგილობრივი თემიდან. ამ უკანასკნელმა მნიშვნელოვნად განაპირობა კამპანიის წარმატება, ვინაიდან ადგილობრივი ტრენერები სამიზნე აუდიტორიაში ნდობის მაღალი ხარისხითა და პატივისცემით სარგებლობდნენ, რამაც გააადვილა ინფორმაციის მიწოდება და გააზრება.

საზიანო პრაქტიკაზე საზოგადოების ყურადღების მისაპყრობად მომზადდა და თბილისსა და მარნეულში გამოიფინა ფოტოგრაფ დინა ოგანოვას დოკუმენტური ფოტო ნამუშევარი „გოგონა დაიბადა“<sup>5</sup>. ფართო საზოგადოებაში GBSS-ის საკითხებზე დისკუსიის წამოწყების მიზნით, აღნიშნული ღონისძიებები გაშუქდა პოპულარულ სატელევიზიო გადაცემებსა და სხვა მედია-პლატფორმებზე.

UNFPA-ის საქართველოს ოფისის ხელშეწყობით ჩატარებული საკომუნიკაციო აქტივობები, სხვა მიმდინარე პროექტებთან კავშირში (მათ შორის, მეთოდოლოგიურ თანხვედრაში) იყო, რამაც ცალკეული ღონისძიებები ერთიანი ეროვნული საკომუნიკაციო კამპანიის ნაწილად აქცია.

### 3.2 მიზნობრივი აუდიტორიის განსაზღვრა

მიზნობრივი აუდიტორიის სწორად განსაზღვრა წარმატებული საკომუნიკაციო კამპანიის უმთავრესი წინაპირობაა, განსაკუთრებით მაშინ, როცა კამპანია ადამიანების კულტურული დამოკიდებულებისა და ქცევის ცვლილებას ემსახურება. თვალსაჩინოებისთვის, შესაბამისი აუდიტორია შეიძლება დაიყოს ორ კატეგორიად: 1. ტოპ-პრიორიტეტული – ვისთანაც კომუნიკაცია აუცილებელია; 2. პრიორიტეტული – ვისთანაც კომუნიკაცია სასურველია.

ტოპ-პრიორიტეტული ჯგუფი უნდა მოიცავდეს ადამიანებს, რომელთა ქცევის ცვლილება პირდაპირ გავლენას მოახდენს დაბადებისას სქესთა რაოდენობრივ თანაფარდობაზე. ამ ჯგუფს განეკუთვნებიან: ა. სოფლად და ქალაქად მცხოვრები, რეპროდუქციულ ასაკში (18-39 წელი) მყოფი მოსახლეობა; ბ. სოფლად და ქალაქად მცხოვრები ახალგაზრდები; გ. წყვილების მშობლები.

პრიორიტეტის მეორე ჯგუფს განეკუთვნებიან: ა. ჯანდაცვის სფეროში ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე დასაქმებული პირები; ბ. ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე მომუშავე პედაგოგები; გ. ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები; დ. ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოებისა და არასამთავრობო ორგანიზაციები; ე. რელიგიური და სათემო ლიდერები; ვ. ეროვნული და ადგილობრივი მედიის წარმომადგენლები. ეს მიზნობრივი ჯგუფები განიხილებიან პოტენციურ პარტნიორებად. კამპანია მიზნად უნდა ისახავდეს, ამ მიზნობრივი ჯგუფებისთვის მნიშვნელოვანი გახდეს ცნობიერების ამაღლებასა და საკითხის ფართო აუდიტორიისთვის მიწოდებაში საკუთარი წვლილის შეტანა.

### 3.3 GBSS-ის აღმოფხვრის კამპანიის მთავარი გზავნილების იდენტიფიცირება

GBSS-ის აღმოფხვრის კამპანია ცდილობს, შეცვალოს ის სოციალური ნორმები, რომლებიც საფუძვლად უდევს როგორც ვაჟებისადმი უპირატესობის მინიჭების პრაქტიკას, ისე გოგონების დაბადებამდელ და დაბადების შემდგომ დისკრიმინაციას. სხვადასხვა აუდიტორიასთან კომუნიკაციისთვის შეიძლება შემუშავდეს სხვადასხვა გზავნილი, მაგრამ ყველა მათგანი უნდა იყოს **პოზიტიური** და ყურადღებას ამახვილებდეს დადებით შედეგზე, რომელიც გაზრდილმა გენდერულმა თანასწორობამ შეიძლება მოუტანოს ოჯახებსა და საზოგადოებას. ეს დაეხმარება საზოგადოებას, გაიაზროს ძირითადი მესიჯი და დაფიქრდეს გენდერულ საკითხებზე. თუ გზავნილის თემები სხვადასხვა თაობისთვის თანაბრად გასაგებია, მაშინ შეიძლება ჩავთვალოთ, რომ გზავნილი ეფექტურია. მაგალითად, გზავნილი, რომელიც ყურადღებას ამახვილებს იმაზე, თუ რა სარგებელი შეიძლება მოუტანოს გოგონამ საკუთარ მშობლებს, ოჯახსა და საზოგადოებას, ნათლად აჩვენებს, რომ გენდერული თანასწორობა სასარგებლოა განურჩევლად კაცების, ქალების, მშობლების, მეუღლის მშობლებისა თუ უფროსი თაობისათვის. მნიშვნელოვანია, ხაზი გაესვას მოსალოდნელ უარყოფით შედეგებსაც, იმ შემთხვევაში, თუ დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობა არ შემცირდება. არსებითად მნიშვნელოვანია, რომ ყველა ღრმად ფესვგადგმულ სტერეოტიპს დავუპირისპიროთ არსებული რეალობა.

#### ცხრილი 4: პოზიტიური გზავნილების გავრცელება

სასურველია, კამპანიას ერთი საერთო სლოგანი ჰქონდეს როგორც ეროვნული, ისე ადგილობრივი კამპანიის დონეზე. მაგალითად, UNFPA-ის საქართველოს ოფისმა კახეთსა და ქვემო ქართლში ჩატარებული საინფორმაციო კამპანიის დროს გამოიყენა საერთო სლოგანი – **„წუ განასხვავებ, გოგოც და ბიჭიც შენი მომავალი!“** ეს ფრაზა ხაზს უსვამს, რომ კამპანიის მიზანი არა ვაჟების როლის დაკნინება, არამედ გოგონებისა და ბიჭების მიმართ თანაბარი დამოკიდებულების ნახალისება, თანაბარი შესაძლებლობის შექმნა და მათი უფლებების დაცვაა.



● ფოტო პროექტიდან „გოგონა დაიბადა“  
ფოტო: UNFPA Georgia / დინა ოვანოვა

## გზავნილები უფრო ეფექტური იქნება, თუ თავიდან ავირიდებთ:

**პირდაპირ ან ირიბად მორალზე ხაზგასმას**, რაც ადამიანებს თავდაცვით პოზიციაში აყენებს და ინფორმაციისადმი მათ ღიაობას ამცირებს. შერცხვენითა და დადანაშაულებით საზოგადოების ქცევისა და სოციალური ნორმების განსჯაც უსარგებლოა. შეიძლება ადამიანებს არ ვეთანხმებოდეთ ვაჟებისადმი უპირატესობის მინიჭებისა თუ სქესის შერჩევის საკითხებში, თუმცა ეს უფლებას არ გვაძლევს, ისინი საზოგადოების გაუნათლებელ ნაწილად მოვინათლოთ.

**სიბრალების აღძვრას** არდაბადებული გოგონებისადმი, ახალგაზრდა გოგონებისა თუ ქალებისადმი, მათი მსხვერპლად წარმოჩენით. დიდი მნიშვნელობა აქვს მესიჯის ფორმულირებას, რომ გოგონა არ არის ტვირთი, რადგან არასწორმა ფორმულირებამ შეიძლება საპირისპირო ეფექტი მოგვცეს და გაამყაროს შეხედულება, თითქოს გოგონა ზედმეტი ტვირთი იყოს. მაგალითად, უნდა მოვერიდოთ ტერმინებს „გადაარჩინე გოგონა“, „გაუჩინარებული/გამქრალი გოგონები“.

## ამიტომ კამპანია უნდა ეფუძნებოდეს პოზიტიურ გზავნილებს, საკვანძო მოტივები კი უნდა იყოს:

**რამდენად სასარგებლოა ოჯახებისა და, ზოგადად, საზოგადოებისათვის გოგონებში „ინვესტირება“:** გოგონების ყოლა და მათი სრული პოტენციალის გამოვლენისათვის შესაბამისი პირობების შექმნა სასარგებლოა როგორც მშობლების, მათ შორის, ხანდაზმული მშობლებისთვის, ისე საოჯახო მეურნეობებისთვის, ადგილობრივი მოსახლეობისა და სრულიად საზოგადოებისთვის.

გზავნილები, რომ გოგონებს შეუძლიათ ისევე ამოუდგნენ მხარში მშობლებს, როგორც ვაჟებს, პირდაპირ ახდენს გავლენას მშობლების გადანყვეტილებაზე. შესაბამისად, ძალიან მნიშვნელოვანია, შეიცვალოს ვაჟებისა და გოგონების როლების აღქმა საზოგადოებაში. ყურადღება უნდა გამახვილდეს იმაზე, რომ ბიჭები და გოგონები განსხვავებულად არ უნდა აღიზარდონ და, თანაბარი პირობების შემთხვევაში, გოგონებს ისევე შეუძლიათ წარმატების მიღწევა და ოჯახის უზრუნველყოფა, როგორც ვაჟებს.

მშობლებს შორის იმ შემთხვევაში გაიზრდება გოგონების ყოლის სურვილი, თუ გააცნობიერებენ, რომ გოგონებს შეუძლიათ ისეთივე წარმატებულები გახდნენ, როგორც ვაჟები და მხარში ამოუდგნენ მათ ხანდაზმულ ასაკში. წინააღმდეგ შემთხვევაში, მშობლები ვაჟებს უფრო მეტ რესურსს მოახმარენ და მეკვიდრეობასაც გადასცემენ, გოგონები კი მეუღლეებზე დამოკიდებული დარჩებიან და მათი როლი კვლავ შვილებზე, ქმრებსა და ქმრების მშობლებზე ზრუნვა იქნება.

სოფლად ქალები უფრო და უფრო მეტად ზრუნავენ ასაკოვან მშობლებზე, განსაკუთრებით მაშინ, თუ მშობლები ტერიტორიულად მათთან ახლოს ცხოვრობენ. შესაბამისად, გზავნილში უნდა იყოს გამოკვეთილი, თუ რამდენად მნიშვნელოვანია, გოგონებს მიეცეთ შესაძლებლობა გახდნენ დამოუკიდებლები და რეალიზებულები, რადგან ამ შემთხვევაში, ისინი არა მხოლოდ ფიზიკური, არამედ მატერიალური მხარდაჭერის უზრუნველყოფასაც შეძლებენ.

წარმატებული ქალების მაგალითების ჩვენებას კიდევ უფრო მეტად შეუძლია გოგონების ღირებულების გაზრდა საზოგადოებაში. თუ შევძლებთ, ხშირად წარმოვაჩინოთ ქალი, როგორც წარმატებული მენარმე, პოლიტიკოსი ან თავისი საქმის პროფესიონალი, საზოგადოებას არაპირდაპირ მივანოდებთ გზავნილს გოგონებისა და ქალების იმ მნიშვნელოვანი როლის შესახებ, რომელიც მათ შეუძლიათ შეასრულონ ქვეყნის განვითარებაში. მთლიანობაში, გენდერულად თანასწორი საზოგადოება, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ქვეყნის მდგრად განვითარებას და უფრო და უფრო მეტად გამახვილდება ყურადღება ქალების ბიზნეს, პოლიტიკურ, სოციალურ და სხვა საკითხებში აქტიური მონაწილეობის საჭიროებაზე.

**საზოგადოების უკეთესად დასარწმუნებლად, კარგი იქნება, თუ არსებულ სოციალურ ნორმებსა და სტერეოტიპებს განვიხილავთ და შემდეგ მათ საპირისპირო არგუმენტებს მოვიყვანთ. მაგალითად:**

**1) ვაჟები რჩებიან თავიანთ ოჯახებში, გოგონები კი ქმრის ოჯახებს უერთდებიან. შედეგად, მოგვიანებით, როდესაც მშობლები ხანში შედიან, ვაჟები ზრუნავენ მათზე, როგორც ფიზიკურად, ისე ფინანსურად.** აღნიშნული დებულება ყოველთვის სიმართლეს არ შეესაბამება, რადგან საქართველოში უფროსი თაობის წარმომადგენლებზე, ძირითადად, ქალები ზრუნავენ. მეტიც, გამართლებულია, ვთქვათ, რომ ფინანსური თვალსაზრისით, ქალიშვილები და ვაჟები ხანდაზმულ მშობლებს თანაბრად უდგანან მხარში. შესაძლებლობა, მშობლებს დაეხმარო, **ტერიტორიული სიახლოვით** (რომელი შვილი ცხოვრობს მშობლებთან ყველაზე ახლოს) უფრო განისაზღვრება, ვიდრე შვილის სქესით. როგორც UNFPA-ის 2017 წლის კვლევამ ცხადჰყო, 2005 წლიდან სოციალური დაცვის სისტემების დანერგვამ, მათ შორის საპენსიო რეფორმისა და სხვა პოლიტიკის გატარებამ, თანდათანობით შეამცირა ტრადიციული პატრიარქალური ოჯახის, როგორც ჯანმრთელობასთან, უმუშევრობასა და ხანდაზმულ ასაკთან დაკავშირებული რისკებისგან დამცავი სოციალურ-ეკონომიკური ბუფერის როლი. შედეგად, შემცირდა ოჯახზე, როგორც ტრადიციულ „მაშველ რგოლზე“ დამოკიდებულების დონე.

**2) ვაჟები არიან გვარის გამგრძელებლები და ბუნებრივი მემკვიდრეები, რომლებიც განაგრძობენ ოჯახის მინაზე ან ბიზნესზე ზრუნვას და შეინახავენ ოჯახის ქონებას.** შესაბამისად, ვაჟის ყოლა ოჯახის ხაზის გაგრძელების აუცილებელი პირობაა. მიუხედავად იმისა, რომ ეს დებულება წარსულში ჭეშმარიტებას შეესაბამებოდა, ამჟამად გოგონათა უმრავლესობა იღებს განათლებას, ერთვება შრომით ბაზარში, აქვს კარიერა და სახელსაც იხვეჭს, უმეტეს შემთხვევაში სწორედ ოჯახის გვართ. დღესდღეობით, უფრო და უფრო მეტი ქალი ხდება წარმატებული, რითაც მათ მშობლებს კიდევ უფრო მეტი მიზეზი აქვთ, მეტად იამაყონ მათით. გარდა ამისა, არსებული კანონმდებლობით, ვაჟები და გოგონები მშობლების ქონების



თანაბარუფლებიანი მემკვიდრეები არიან<sup>6</sup> და თითოეულ შვილს აქვს ოჯახის საკუთრებაში წილის ქონის უფლება. მაშინ როცა, ტრადიციები ხელს უწყობს გარკვეული პრაქტიკის შენარჩუნებას, კანონში სხვა სტანდარტებია განწესებული.

**3) აბორტზე ხელმისაწვდომობა გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის საფუძველია.** არსებობს მცდარი შეხედულება, რომ გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის პრაქტიკას აბორტზე ხელმისაწვდომობა განაპირობებს; სინამდვილეში მიზეზი ბიჭებისადმი მინიჭებული უპირატესობაა, რომელიც, თავის მხრივ, გენდერული უთანასწორობით არის გამოწვეული. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პრობლემას მეტწილად ვაჟებისადმი უპირატესობის მინიჭების პრაქტიკა უდევს საფუძველად და არა ქალების რეპროდუქციული უფლების რეალიზება. შესაბამისად, რეპროდუქციულ სერვისებზე წვდომის შეზღუდვამ, იმ სოციალურ ნორმებთან ბრძოლის ნაცვლად, რომლებმაც ამ სერვისებზე მოთხოვნა გააჩინეს, შესაძლოა, ქალების უფლებების დარღვევამდე მიგვიყვანოს. პრობლემის გადასაჭრელად, საჭიროა მის გამომწვევ მიზეზებზე მუშაობა. კერძოდ კი, საჭიროა იმ დამოკიდებულებების, ქცევისა და პრაქტიკის აღმოფხვრა, რომლებიც პასუხისმგებელია ქალების არასათანადო დაფასებასა და დისკრიმინაციაზე.

დაბადებისას სქესთა შორის რაოდენობრივი დისბალანსის გამო, აუცილებელია დაბადებული ბიჭების რაოდენობის ზრდითა და დაბადებული გოგონების რაოდენობის კლებით გამოწვეული უარყოფითი შედეგების აღნიშვნაც. პრობლემაზე მუშაობის ერთი გზაა, აქტიურად გააფრთხილო ხალხი, რომელიც გენდერული ნიშნით ირჩევს სქესს, რა გავლენას ახდენს მსგავსი პრაქტიკა საქართველოს დემოგრაფიაზე. ამჟამად არსებული ტენდენცია, რომ წყვილებმა იყოლიონ უფრო მეტი ვაჟი, ვიდრე გოგონა, მომავალში გაზრდის მამაკაცების რაოდენობას ქალებთან შედარებით და გაართულებს ოჯახების შექმნას – დასაქორწინებელ და რეპროდუქციულ ასაკში მყოფი ქალების რაოდენობის კლების გამო, შემცირდება შობადობაც. ეს ყველაფერი, საბოლოოდ, აისახება ქვეყანაში მოსახლეობის რაოდენობაზე. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ გენდერული ნიშნით სქესის შერჩევას მოსდევს რიგი უარყოფითი შედეგები, მათ შორის, დისბალანსი ქორწინების კუთხით, შემცირებული შობადობა და ამ უკანასკნელით გამოწვეული მოსახლეობის კლება.

მნიშვნელოვანია გენდერული თანასწორობის პოპულარიზაცია. საჭიროა ინფორმაციის გავრცელება ისეთ კანონებსა და პოლიტიკებზე, რომლებიც ქალებს დაეხმარება, გაიმყარონ პოზიცია ოჯახებსა და საზოგადოებაში. აგრეთვე, საჭიროა უფრო დეტალური ინფორმაციის გავრცელება იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება აღნიშნული რეგულაციების უკეთ გამოყენება. კანონებში ყურადღება უნდა გამახვილდეს გენდერულ თანასწორობაზე, პოლიტიკა კი მეტად უნდა მოერგოს ოჯახებს, რათა მამაკაცებსაც და ქალებსაც მიეცეთ შესაძლებლობა, თანაბრად გაინანილონ ვალდებულებები და ოჯახები დაგეგმონ პირადი სურვილებისა თუ მისწრაფებების შესაბამისად. ისიც აღსანიშნავია, რომ რეგიონის სხვა ქვეყნების მსგავსად, საქართველოში მამაკაცებს ქალებზე მაღალი შემოსავალი აქვთ და უფრო მეტადაც არიან დასაქმებულები მენეჯერულ ან გადანყვეტილების მიმღებ პოზიციებზე. მამაკაცებსაც შეუძლიათ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანონ ქალების, როგორც საზოგადოების თანასწორუფლებიანი წევრების, გაძლიერების საქმეში. საჭიროა, როგორც ქალების, ისე მამაკაცების დაუღალავი მცდელობა და ჩართულობა იმისათვის, რომ შეიცვალოს გენდერის აღქმა და, შედეგად, არჩევანის უფლება და სხვა უფლებები გარანტირებულად იქნას დაცული.

**სანამ გზავნილებს საზოგადოებას მივანოდებდეთ, შეგვიძლია ძირითად მესიჯები მცირე ჯგუფში გავავრცელოთ, რათა მათი ეფექტურობა და მიმღებლობა დავადგინოთ. კამპანიის პილოტირება მიღებული პრაქტიკაა, რადგან, სანამ გზავნილებს საზოგადოებაში გავავრცელებდეთ, საჭიროა გარკვეული უკუკავშირის მიღება და შესაბამისი კორექტირების შეტანა.**

6 საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მიღებული 2007 წელს.

### 3.4 საზოგადოებასთან უკეთესი კომუნიკაციისთვის გზავნილებისა და საკომუნიკაციო არხების განსაზღვრა

არ აქვს მნიშვნელობა, რომელ სამიზნე აუდიტორიასთან ვმუშაობთ, მთავარია, გვახსოვდეს, რომ სოციალურ წესრიგს კი არ უნდა ვებრძოდეთ, არამედ ვეხმარებოდეთ ადამიანებს, გადაიაზრონ საკუთარი ნორმები და სტერეოტიპები ისე, რომ გაიუმჯობესონ ცხოვრება. გზავნილები უნდა იპყრობდეს ყურადღებას, იყოს მარტივი და ადვილად გასაგები. სხვადასხვა ჯგუფზე გათვლილი გზავნილები შეიძლება ურთიერთდაკავშირებულ მიზნებს ემსახურებოდეს, თუმცა მნიშვნელოვანია, შემუშავდეს საერთო გზავნილებიც, რომლებიც პოპულარული და ერთნაირად გასაგები იქნება თითოეული სამიზნე აუდიტორიისათვის.

თუ კამპანიის მთავარი მიზანია გარკვეულ (ჩვენ შემთხვევაში, GBSS-ის) საკითხზე ცნობიერების ამაღლება, მაშინ მნიშვნელოვანია, გამოვიყენოთ კომუნიკაციის სხვადასხვა საშუალება. ასეთი შეიძლება იყოს შეხვედრები, საინფორმაციო და პრომომასალები, კვლევითი ანგარიშები, სატელევიზიო, სოციალური და გარე რეკლამა, მედია სიუჟეტები და სხვ.

#### რისი გაკეთება შეიძლება?

#### ქალაქად და სოფლად მცხოვრებ რეპროდუქციულ ასაკში (18-39 წელი)

#### მყოფი მოსახლეობისთვის განკუთვნილი გზავნილები და საკომუნიკაციო არხები

**სოციალური და ონლაინ მედია** – ქალაქის ტიპის დასახლებებში 18-39 წლის ადამიანები ინტერნეტის აქტიური მომხმარებლები არიან. შესაბამისად, სოციალური და ონლაინ მედიის გამოყენებით, ამ სამიზნე ჯგუფთან კომუნიკაცია და მათთან გზავნილის მიტანა მთელი ქვეყნის მასშტაბითაა შესაძლებელი. სოციალური მედიის საშუალებით შესაძლებელია დაბალბიუჯეტური კამპანიის წარმოება, როგორც მესიჯების გავრცელებით, ისე ფართომასშტაბიანი ადვოკატირებითაც. მოკლე ანიმაციები, ინფოგრაფიკები და ქალთა წარმატების ისტორიები შეიძლება გამოქვეყნდეს და გავრცელდეს სოციალურ მედიაში (ამასთან, შესაძლებელია Facebook-პოსტის რეკლამირება მიზნობრივი ჯგუფების, ამ შემთხვევაში, 18-39 წლის ადამიანების მოსაზიდად). გზავნილები უნდა ასახავდეს არსებულ, მაგრამ მოძველებულ სტერეოტიპებს, რომლებიც ხელს უწყობს ვაჭებისადმი უპირატესობის მინიჭებას და აკნინებს გოგონების ღირებულებას. გზავნილებმა ხაზი უნდა გაუსვას საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალთა გაზრდილ როლსაც იმ ქალების მაგალითების ჩვენებით, რომლებიც სწავლობენ, ერთვებიან შრომის ბაზარში და აქვთ კარიერა. ხალხი ინფორმირებული უნდა იყოს გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის სამომავლო უარყოფით შედეგებზეც. ყველა ზემოთ მოყვანილი საკომუნიკაციო პროდუქტი კი შეიძლება გაერთიანდეს ერთიანი სლოგანის ქვეშ, გაეროს მოსახლეობის ფონდის საქართველოს ოფისის საინფორმაციო კამპანიის მსგავსად, რომლის სლოგანიცაა: „ნუ განასხვავებ, გოგოც და ბიჭიც შენი მომავალია“.

liberali.ge, netgazeti.ge, tabula.ge, on.ge და batumelebi.ge არის ონლაინ მედია-პლატფორმები, რომლებიც პოპულარულია როგორც თბილისში, ისე ქვეყნის რეგიონებში. ამ პლატფორმების საშუალებით შეგვიძლია გავავრცელოთ სტატიები ვაჭებისადმი უპირატესობის მინიჭების მოსალოდნელ შედეგებზე. აღნიშნული სტატიები მიმართული იქნება გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის საკითხის უფრო ფართოდ გაშუქებისაკენ. გენდერის ექსპერტებთან ჩატარებული ინტერვიუების საშუალებით, საზოგადოება გაეცნობა GBSS-თან დაკავშირებულ მნიშვნელოვან მოსაზრებებს. პროცესში შეგვიძლია ჩავართოთ საზოგადო მოღვაწეები და ცნობადი სახეებიც და მათ მიერ GBSS-ზე გაკეთებული განცხადებები გამოვიყენოთ. ეს გზავნილები საჭირო დროს აუცილებლად მიაღწევს საზოგადოებამდე.

**გარე რეკლამა** – ქალაქის ტიპის დასახლებებში გარე რეკლამა არის კომუნიკაციის ეფექტური საშუალება. კამპანიის მთავარი გზავნილების გასავრცელებლად შეიძლება როგორც ქუჩის ბილბორდების, ისე საზოგადოებრივი ტრანსპორტისა და მათი გაჩერების ადგილების გამოყენება. ამასთან, აღსანიშნავია, რომ აღნიშნული არხებით კომუნიკაცია საკმაოდ ხარჯიანია და დიდ ფინანსურ რესურსს მოითხოვს. გარე რეკლამირების გამოყენებისას, სასურველია, სლოგანები იყოს თვალშისაცემი და ლაკონიური. გარე რეკლამა როგორც სამიზნე, ისე ფართო საზოგადოებასთან წვდომის საუკეთესო საშუალებაა.

**ტრადიციული მედია-საშუალებები** – ადვოკატირებაში შესაძლებელია ტელევიზიის აქტიური გამოყენებაც. სხვადასხვა კვლევის მიხედვით, საქართველოს მოსახლეობის დაახლოებით 70% ინფორმაციას ტელევიზიით იღებს<sup>7</sup>, ამიტომ გზავნილის გადაცემის ერთ-ერთი ხერხი სხვადასხვა სატელევიზიო არხზე რეკლამის განთავსებაა, რაც ხარჯიანი შეიძლება იყოს. ამასთან, აღსანიშნავია, რომ საქართველოს კანონი მაუწყებლობის შესახებ (მუხლი 65)<sup>8</sup> საქართველოს საზოგადოებრივ მაუწყებელს, აჭარის ტელევიზიას, საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის შემადგენლობაში არსებულ საქართველოს რადიოსა და სხვა არხებს ავალდებულებს, ყოველ საათში სულ მცირე 60 წმ. გამოყონ უფასო სოციალური რეკლამებისათვის, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე. იგივე მაჩვენებელი საქართველოში მომუშავე სხვა მაუწყებლებისთვის 90 წმ-ია ყოველ 3 სთ-ში. განმარტების მიხედვით, სოციალური რეკლამა არის „საზოგადოებრივი სიკეთის ხელშეწყობის, საქველმოქმედო მიზნების მიღწევის, მნიშვნელოვან საზოგადოებრივ საკითხებზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლების ან/და საზოგადოების ქცევის პოზიტიური თვალსაზრისით შეცვლის ხელშეწყობისკენ მიმართული რეკლამა“. სოციალური რეკლამების ეროვნულ თუ ადგილობრივ დონეზე მაუწყებელ ტელევიზიებში განთავსებით, გზავნილები მიაღწევენ სამიზნე აუდიტორიის ყველა ჯგუფამდე, როგორც სოფლად, ისე ქალაქად. საზოგადოებამდე გზავნილის მიტანის ეფექტური გზაა რადიოში რეკლამების განთავსებაც, რაც სატელევიზიო რეკლამასთან შედარებით უფრო იაფია.

**პირისპირ კომუნიკაცია** – როდესაც რეპროდუქციულ ასაკში (18-39 წელი) მყოფ ადამიანებზე გათვლილი კამპანია რეგიონებში ტარდება, ამიტომ მნიშვნელოვანია პროცესში ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მუნიციპალიტეტის ჩართვა. სასოფლო დასახლებებში ინტერნეტზე წვდომა ნაკლებია ქალაქებთან შედარებით. შესაბამისად, სამიზნე აუდიტორიასთან მუშაობა არაფორმალური და საინფორმაციო შეხვედრების გზით უნდა წარიმართოს. ადგილობრივ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებსა და მუნიციპალიტეტებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ ამ პროცესში ადგილობრივი მაცხოვრებლების მობილიზებითა და მათი ჩართულობის გაზრდით. შეხვედრების გასამართად შესაძლებელია ადგილობრივი პარტნიორების, მაგალითად დემოკრატიული ჩართულობის ცენტრების ან მუნიციპალიტეტებში არსებული ქალთა ოთახების სივრცეების გამოყენება.

ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში მნიშვნელოვანია ენობრივი ბარიერის გათვალისწინებაც. თუ კომუნიკაციის ფორმად საინფორმაციო შეხვედრები და ტრენინგები შეირჩევა, სასურველია, ისინი ადგილზე გავრცელებულ, მაგალითად ქართულ, აზერბაიჯანულ (ქვემო ქართლში), ან სომხურ (ჯავახეთში) ენაზე ჩატარდეს. ქვემო ქართლში საინფორმაციო შეხვედრების გამართვისას, UNFPA-ის საქართველოს ოფისმა, ვაჟებისადმი უპირატესობის მინიჭების პრაქტიკასა და გენდერული ნიშნით სქესის შერჩევაზე დისკუსიის ხელშეწყობის მიზნით, შეიმუშავა ტრენინგ-მოდული ქართულ და აზერბაიჯანულ ენებზე. შეხვედრის მონაწილეებს დაევალიათ, გაეკეთებინათ სავარჯიშოები იმის აღმოსაჩენად, თუ რამდენად სტერეოტიპულად აზროვნებენ GBSS-ის თემატიკის ირგვლივ ოჯახსა და საზოგადოებაში. საინფორმაციო შეხვედრებს თან ერთვოდა ანიმაციური ვიდეორგოლი, „გოგონების მამა“, რომელმაც სიუჟეტისა და პერსონაჟების წყალობით გაზარდა აუდიტორიის დაინტერესება. ტრენინგი ჩატარდა ადგილობრივ ენაზე იმ პირების მიერ, ვისთვისაც ეს ენა მშობლიური იყო. შედეგად, აღმოიფხვრა ყოველგვარი ენობრივი ბარიერი.

7 საქართველოს მოსახლეობის ცნობადობა და დამოკიდებულება სასამართლო სისტემის მიმართ, 2018.

8 საქართველოს კანონი მაუწყებლობის შესახებ.



● კაცები ზრუნავენ  
 ფოტო: მარი ნაკანი | MenCare Georgia/UNFPA Georgia

**საზოგადოების ჩართულობა** – მოძველებული სტერეოტიპებისა და საზოგადოებაში ღრმად ფესვგადგმული ნორმების გამო, კაცის ღირსება მამრობითი სქესის მემკვიდრის გარეშე, განსაკუთრებით რეგიონებში, ტრადიციულად კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. შესაბამისად, საკითხისადმი დამოკიდებულების შესაცვლელად, საჭიროა, ხმა რეგიონულ მოსახლეობამდე, მათ შორის კაცებამდე მივანწვინოთ, რადგან ამ უკანასკნელთა აზრი მათ ოჯახებსა და გარშემომყოფებზე დიდ გავლენას ახდენს. რაც უფრო სასურველია კაცისათვის, ჰყავდეს გოგონა, მით უფრო მცირდება წნეხი ქალზე, რომ აუცილებელია ვაჟის გაჩენა. ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მუნიციპალიტეტების დახმარება მნიშვნელოვანია, რათა საინფორმაციო შეხვედრებში მამაკაცები აქტიურად იყვნენ ჩართულნი. მამაკაცების მისამართით უნდა გააუღერდეს შემდეგი გზავნილები: გოგონებს შეუძლიათ თანაბარი სარგებლის მოტანა თავიანთი მშობლებისა და ოჯახისათვის და გოგონებს ვაჟებზე არანაკლებ შეუძლიათ, თავიანთი მშობლები ასახელონ. ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტსაც, რომ, უმეტეს შემთხვევებში, გოგონები უვლიან ხანდაზმულ მშობლებს. ამავდროულად, საზოგადოებაში, განსაკუთრებით მამაკაცთა შორის, ხაზი უნდა გაესვას, თუ რა გავლენა შეიძლება ჰქონდეს დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის გადახრილ მაჩვენებელს მოსახლეობის დემოგრაფიულ დინამიკაზე მომავალში. კამპანიის მთავარი გზავნილები შეიძლება გააუღერონ მამებმა, რომელთაც სამი ან მეტი ქალიშვილი ჰყავთ. ამით ისინი აუდიტორიას მიანწვინავენ გზავნილს, რომ ამყობენ და ბედნიერი არიან საკუთარი შვილებით.



● მწერალ გიორგი კეკელიძის საჯარო ლექცია მარნეულში, გენდერული თანასწორობის თემაზე  
 ფოტო: UNFPA Georgia / ვლადიმერ ვალიშვილი

## ცხრილი 5: კამპანია – კაცები ზრუნავენ

გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისა და გოგონათა და ქალთა წინააღმდეგ საზიანო პრაქტიკის აღმოფხვრის მიზნით, მამაკაცების ჩართულობა საციცოცხლოდ მნიშვნელოვანია. გენდერის საკითხებისადმი მიდგომების შესაცვლელად განუული მრავალწლიანი დაუღალავი შრომის შემდეგ, საქართველოში კაცები ზრუნავენ კამპანიის დაწყება არის UNFPA-ის საქართველოს ოფისისა და მისი პარტნიორების მნიშვნელოვანი მიღწევა. კამპანია ეფუძნება UNFPA-ის მიერ მხარდაჭერილი კვლევის – კაცები და გენდერული ურთიერთობები საქართველოში (2014 წ.) – ფარგლებში მოპოვებულ მტკიცებულებებს. კაცები ზრუნავენ ღია ყველა მამაკაცისათვის, რომელიც იზიარებს კამპანიის იდეასა და პრინციპებს. კამპანიის წარმატება, ძირითადად, განაპირობა მტკიცებულებაზე დაფუძნებულმა მიდგომებმა, რომლებიც საქართველოს სოციალურ-კულტურულ რეალობაზეა მორგებული.

კამპანიის „კაცები ზრუნავენ“ მიზანია არამოძალადე და მზრუნველი მამებისა და მეუღლეების ნახალისება, რათა მივაღწიოთ გენდერულ თანასწორობას და ხელი შევუწყოთ ოჯახების სიჯანსაღესა და კეთილდღეობას. კამპანიის ფარგლებში ჩატარდა რამდენიმე მნიშვნელოვანი ღონისძიება, მათ შორის ტრენინგების სერია „მამაკაცური საუბრები“, „მამების თასის“ ტურნირი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასთან თანამშრომლობით. დაწესდა მამების დღე, შეიქმნა მამების ბლოგი, ნახალისდა თანასწორი და პასუხისმგებელი მშობლობა, მათ შორის კაცებისათვის განკუთვნილი დეკრეტული შვებულების ადეოკატირებით.

კამპანიას გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) საქართველოს ოფისი და არასამთავრობო ორგანიზაცია We Care ახორციელებენ, გაეროს ერთობლივი პროგრამის „გენდერული თანასწორობისთვის“ ფარგლებში, შვედეთის მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით (2016-2020 წწ.).<sup>9</sup>

9 დამატებითი ინფორმაცია ხელმისაწვდომია UNFPA-ის საქართველოს ოფისის ვებ-გვერდზე: კაცები ზრუნავენ საქართველო, 2018 წ.

**საჯარო ღონისძიებები და საინფორმაციო/საგანმანათლებლო/საკომუნიკაციო (IEC) მასალები** – IEC მასალების შემუშავება და გავრცელება, ღონისძიებები ღია ცის ქვეშ და ბილბორდები სამიზნე აუდიტორიასთან წვდომის იდეალური საშუალებებია. მეტიც, გამოფენები, ლექციები და სხვა ტიპის საჯარო ღონისძიებები ხელს უწყობს კონკრეტულ აუდიტორიაზე მორგებული სწორი გზავნილების მიტანას. მსგავსი ღონისძიების ერთ-ერთი მაგალითია თბილისსა და მარნეულში UNFPA-ის საქართველოს ოფისის მხარდაჭერით გამართული დინა ოგანოვას დოკუმენტური ფოტო-გამოფენა „გოგონა დაიბადა“. ფოტოპროექტი თბილისში, კახეთსა და მარნეულში მცხოვრებ ოჯახებზე გვიამბობს, რომელთაც მხოლოდ გოგონები ჰყავთ. გამოფენა მიზნად ისახავდა, აქმაღლებინა ცნობიერება GBSS-ის საზიანო პრაქტიკის შესახებ და ხაზი გაესვა გოგონებისა და ვაჟების, როგორც შეილების, უფლებრივ თანასწორობაზე, მათ მიმართ თანაბარი დამოკიდებულების აუცილებლობასა და მათი შესაძლებლობების ერთნაირად რეალიზების საჭიროებაზე, რაც უაღრესად მნიშვნელოვანია ოჯახისა და საზოგადოების ჰარმონიული განვითარებისათვის. ღონისძიებაზე გამოფენილ ფოტოებს თან ერთვოდა ჩანაწერები, სადაც მშობლები გოგონ(ებ)ის ყოლის პოზიტიურ გამოცდილებაზე გვიამბობდნენ.

## რისი გაკეთება შეიძლება?

### გზავნილები და საკომუნიკაციო არხები ქალაქად და სოფლად მცხოვრები ახალგაზრდებისა და მოზარდებისათვის

**ფორმალური და არაფორმალური განათლება** – ახალგაზრდებთან აქტიური მუშაობა და ცნობიერების ამაღლება არის საკვანძო მეთოდი გენდერული ტრანსფორმაციის პროცესში. ფორმალური ან არაფორმალური განათლების გზით ახალგაზრდები უნდა ნახალისდნენ, ჰქონდეთ დიალოგი, კრიტიკულად მიუდგინონ და გამოხატონ საკუთარი მოსაზრება ვაჟებისადმი უპირატესობის მინიჭებისა და გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის საკითხებზე. გარდა ამისა, შეგვიძლია გამოვიყენოთ ტრენინგები, სამუშაო შეხვედრები და სხვა გასართობ-შემეცნებითი ფორმატები, ჩავართოთ ახალგაზრდები და მივანიჭოთ თანასწორგანმანათლებლების როლი. მაგალითად, შეიძლება გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის საკითხებზე ანიმაციური რგოლების შექმნა და ჩვენება,<sup>10</sup> რაც მოგვიანებით შეიძლება გამოვიყენოთ არაფორმალური და ღია დიალოგების წამოსაწყებად. სასურველია, სკოლებში ჩატარდეს საჯარო ლექციები, რომლებშიც სპორტის, კინოინდუსტრიის, შოუ-ბიზნესის, ლიტერატურისა და სხვა სფეროების ცნობადი სახეები ჩაერთვებიან.

მასწავლებლებს, განსაკუთრებით კი მათ, რომლებიც უძღვებიან სამოქალაქო განათლების გაკვეთილებს, შეუძლიათ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანონ გენდერული თანასწორობის ხელშეწყობასა და მოსწავლეების/სტუდენტების მიმართ თანაბარი კარიერული თუ სოციალური მოლოდინების ჩამოყალიბებაში. მასწავლებლებს შეუძლიათ აამაღლონ გოგონების მისწრაფებები, გააცნონ წარმატების მაგალითები და გოგონებისა და ბიჭებისთვის შექმნან უფრო თანაბარი პირობები. ამ გზით, პედაგოგები ხაზს გაუსვამენ, რომ გენდერული ნიშნით დისკრიმინაცია მიუღებელია. მოსწავლეები/სტუდენტები მიღებულ მასალებს სახლში წაიღებენ, რაც გაზრდის შესაძლებლობას, რომ ინფორმაცია მათმა ოჯახებმაც მიიღონ. ასე რომ, ახალგაზრდებთან მუშაობით მშობლებისა და ბებია-ბაბუების ცნობიერებასაც ავამაღლებთ არაპირდაპირი გზით.

შესაბამისი ფინანსური რესურსის არსებობის შემთხვევაში, შესაძლებელია ახალგაზრდებისთვის ჩატარდეს გენდერული თანასწორობის თემაზე ესეების კონკურსი „გოგონები და ბიჭები თანასწორნი არიან“. გამარჯვებულები პრიზებით ან მედლებით დაჯილდოვდებიან, რომელზეც იქნება წარწერა „გენდერული თანასწორობის მხარდამჭერი“. გარდა ამისა, კამპანიის ფარგლებში უფრო მეტი ახალგაზრდის ჩასართავად შესაძლებელია ფოტოგამოფენისა და ქუჩის მხატვრობის ორგანიზება, გამოჩენილ მწერლებთან, მსახიობებსა და მომღერლებთან არაფორმალური შეხვედრების გამართვა და ა.შ.

GBSS-ის უკეთ გაშუქება შესაძლებელია პოპულარული ახალგაზრდული ტელეგადაცემების საშუალებით. ერთ-ერთი პოტენციური გადაცემაა „ნიგნების თარო“ საქართველოს საზოგადოებრივ მაუწყებელზე.

10 ისევე, როგორც გოგონების მამა, მოკლემეტრაჟიანი ფილმი შექმნილია გაეროს მოსახლეობის ფონდის საქართველოს ოფისის მიერ.



● ფოტო პროექტიდან „გოგონა დაბადა“  
ფოტო: UNFPA Georgia / დინა ოგანოვა

ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებს რეგიონებში, მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობით, შეუძლიათ დაგვეხმარონ ახალგაზრდებთან მუშაობაში. მაგალითად, შესაძლებელია, მოენყოს საზაფხულო ან ზამთრის ბანაკები, სადაც სხვადასხვა საინტერესო აქტივობასთან ერთად, დღის წესრიგში გათვალისწინებული იქნება ღონისძიება, რომელსაც მიზანი GBSS-ზე ცნობიერების ამაღლებაა.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში, სადაც ენობრივ ბარიერებს ვაწყდებით, გავრცელებული საინფორმაციო ბროშურები, ანიმაციები და სხვა მასალები ორენოვანი უნდა იყოს.

## რისი გაკეთება შეიძლება?

### საკომუნიკაციო არხები და გზავნილები მეუღლის მშობლებისათვის

მრავალთაობიან ოჯახებში წყვილები ხშირად ოჯახის წევრების მხრიდან წნეხს განიცდიან, რათა მათ მემკვიდრის სახით იყოლიონ ვაჟი. ეს ფაქტი განსაკუთრებით თავს იჩენს დაოჯახების შემდეგ წყვილის მშობლებთან ერთად თანაცხოვრებისას. UNFPA-ის კვლევის (2017 წ.)<sup>11</sup> მიხედვით, დაოჯახების შემდეგ მშობლებთან თანაცხოვრება საქართველოში კვლავ ფართოდაა გავრცელებული. უმეტეს შემთხვევაში, დაოჯახებული წყვილი ქმრის მშობლებთან ერთად ან მათთან ახლოს ცხოვრობს; უფრო კონკრეტულად, მრავალთაობიანი ოჯახების 82%-ში წყვილი კაცის მშობლებთან ერთად ცხოვრობს. აღნიშნული მაჩვენებელი ახლოსაა 2002 წლის მაჩვენებელთან. მშობლებთან ერთად ცხოვრება უფრო მეტად სოფლად

11 დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის ტენდენციები საქართველოში - მიმოხილვა მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერიდან მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით (2017 წ.), შემუშავებულია საქსტატსა და გაეროს მოსახლეობის ფონდის საქართველოს ოფისთან ერთად.

მცხოვრებ (90%) და ღარიბ ოჯახებშია გავრცელებული. თუ რეგიონების დონეზე განვიხილავთ, ქმრის მშობლებთან თანაცხოვრების ყველაზე მაღალი მაჩვენებლები სამცხე-ჯავახეთსა და კახეთში ფიქსირდება. პრაქტიკა განსაკუთრებით ფართოდაა გავრცელებული ეთნიკურად აზერბაიჯანელ მოსახლეობაში (94%), შედარებით ნაკლებად – ქალაქის ტიპის დასახლებებში (75%). მაჩვენებელი ყველაზე დაბალია თბილისში (69%). აღნიშნული მონაცემების მიხედვით, მთავარ სამიზნე აუდიტორიას მეუღლის მშობლები წარმოადგენენ: თუ გენდერის მიმართ მათი დამოკიდებულებები შეიცვლება, შემცირდება წნეხი მათ შვილებზე.

ძნელია, შეცვალო დამოკიდებულებები, რომლებიც დროთა განმავლობაში ტრადიციებისა და რწმენის შედეგად ყალიბდებოდა. თუმცა კრიტიკული მიდგომების დამკვიდრება მაინც არის შესაძლებელი, თუ გზავნილებს სამიზნე ჯგუფს მოვარგებთ. კარგი იქნება გზავნილების შემდეგი სახით ფორმულირება: გოგონებს არანაკლებ შეუძლიათ დაეხმარონ თავიანთ მშობლებს და მხარი დაუჭირონ ხანდაზმულობის ჟამს; თანაბარი პირობების შემთხვევაში, გოგონებს შეუძლიათ, ვაჟების მსგავსად, წარმატებას მიაღწიონ. ასევე, კარგი იქნება, თუ თითოეულ სამიზნე ჯგუფს მიეწოდება ინფორმაცია GBSS-ის მოსალოდნელ უარყოფით შედეგებზე, მაგალითად, მოსალოდნელ დისბალანსზე ქორწინების ბაზარზე.

აღნიშნულ სამიზნე აუდიტორიასთან (ძირითადად, ასაკი აღემატება 50 წელს) წვდომის ერთ-ერთი ეფექტური გზა ტრადიციული მედია-წყაროების, კერძოდ კი, ტელე და რადიო რეკლამების ან გადაცემების, გაზეთების, ჟურნალებისა და გარე რეკლამების გამოყენებაა. მაგალითისთვის, ზოგიერთი ჟურნალი ნამდვილ, ცხოვრებისეულ ამბებს სპეციალურ რუბრიკებს უთმობს. მსგავს რუბრიკებში შესაძლებელია იმ ქალების ისტორიების გაჟღერება, რომლებიც ოჯახში არასასურველ მე-3 ან მე-4 შვილად გაჩნდნენ, თუმცა წარმატებას მიაღწიეს და ოჯახის აღიარება მოიპოვეს. მსგავს ისტორიებს შეუძლია ოჯახის უფროსი წევრები საკითხისადმი უფრო მაღალი სენსიტიურობით განაწყოს. შესაბამისად, მიზანშეწონილია, დავადგინოთ, რომელი ჟურნალ-გაზეთები სარგებლობს მაღალი პოპულარობით აღნიშნულ სამიზნე აუდიტორიაში.

საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სატელევიზიო სერიალია *ჩემი ცოლის დაქალები*. თუ ამ სერიალში GBSS-ის საკითხებს გავაჟღერებთ, მოსალოდნელია, სულ მცირე, დისკუსია დაიწყოს პრობლემის ირგვლივ. შესაძლებელია დისკუსიების გამართვა შუადღის გადაცემებშიც ქართულ მაუწყებლებზე. გადაცემებში შესაბამისი სფეროს (ჯანდაცვა, დემოგრაფია, გენდერული საკითხები და სხვ.) ექსპერტებისა და სპეციალისტების მოწვევა აამაღლებს საზოგადოების ნდობას, რადგან აღნიშნული ექსპერტების/სპეციალისტების მსჯელობა მტკიცებულებაზე იქნება დაფუძნებული.

ზემოთ განხილული საკომუნიკაციო არხები გავლენას იქონიებს ქალაქში მცხოვრებ სამიზნე აუდიტორიაზე, მაგრამ რეგიონებში ქართულენოვანი ჟურნალ-გაზეთები ნაკლებად ეფექტური იქნება, რადგან ქართული ენა 50 წელს გადაცილებულმა ეთნიკურად არაქართველმა მოსახლეობამ ნაკლებად იცის. მსგავს შემთხვევებში, საინფორმაციო ბროშურები უნდა დაიბეჭდოს აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე და გავრცელდეს როგორც მუნიციპალიტეტის, ისე ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების დახმარებით. იმავე მიზეზით, სოფლების ადმინისტრაციულ შენობებზე გამოფენილი პოსტერებიც და ბილბორდებიც ორენოვანი უნდა იყოს. ასევე, სასურველია, კამპანიის გზავნილები თემში პატივსაცემმა ადამიანებმა მიაწოდონ. აღნიშნულ გზავნილებს 50 წელს გადაცილებული მოსახლეობა დიდი ალბათობით მათგან უფრო დადებითად მიიღებს. თემში აღიარებულმა პირებმა, კამპანიის მთავარი გზავნილების მისაწოდებლად, შესაძლებელია ადგილობრივ რადიოსა თუ ტელევიზიაში სპიკერის როლიც მოირგონ.

## რისი გაკეთება შეიძლება?

**საკომუნიკაციო არხები ჯანდაცვის სპეციალისტებთან, მასწავლებლებთან, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან, ადგილობრივ სამოქალაქო საზოგადოებასა და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, რელიგიურ ლიდერებსა და ადგილობრივ თუ ცენტრალურ დონეზე მომუშავე ჟურნალისტებთან**

GBSS-ის აღმოსავლურ რეგიონულ დასაცოცხლოდ მნიშვნელოვანია, გაიზარდოს რეპროდუქციული სერვისების მიწოდების, განსაკუთრებით კი ულტრაბერითი ტექნოლოგიების სპეციალისტების, საკითხის



მიმართ სენსიტიურობა და დაინტერესება. აღნიშნულ სპეციალისტებს უშუალო შეხება აქვთ პაციენტებთან და სარგებლობენ მათი ნდობით. შესაბამისად, მათზე დადებითი გავლენის მოხდენა შეუძლიათ. ჯანდაცვაში ყოველდღიურად შეტანილი წვლილის პარალელურად, მათ ძალუძთ, ხელი შეუწყონ უფრო თანასწორი, მდგრადი და ჰარმონიული საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესს, სადაც ბავშვის დაბადება, განურჩევლად სქესისა, თანაბრად სასურველი, სასიხარულო და ფასეულია. უფრო კონკრეტულად კი, სამედიცინო სფეროს წარმომადგენლებს შეუძლიათ გარკვეული როლი ითამაშონ გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის შემცირებაში. ამისათვის საჭიროა, აიმაღლონ ცოდნა აღნიშნული პრაქტიკის გამომწვევ მიზეზებსა და შედეგებზე, ასევე, უფრო ეთიკურად გამოიყენონ სქესის დადგენის ტექნოლოგიები.

მნიშვნელოვანია ჯანდაცვის სპეციალისტების მხარდაჭერა და მათი, როგორც პარტნიორების, ჩართულობა საზიანო პრაქტიკის პრევენციის პროცესში. ეს მიღწეულ უნდა იქნეს ადვოკატირების, გენდერის საკითხისადმი სენსიტიურობის ზრდის, ცნობიერების ამაღლების პროგრამებისა და სქესის დადგენის ტექნოლოგიების ეთიკური გამოყენების ნახალისების გზით. ასევე, მნიშვნელოვანია, გაიმართოს მრგვალი მაგიდის დისკუსიები, პროფესიული ასოციაციების, სამინისტროებისა და ჯანდაცვის სფეროს წარმომადგენლების ჩართულობით, სადაც განიხილავენ, თუ რისი გაკეთება შეუძლიათ ერთიანი ძალებით. აღნიშნულმა აქტივობებმა უნდა უზიდავოს ჯანდაცვის სპეციალისტებს, არ დაარღვიონ პროფესიული ეთიკა, არ დაუჭირონ მხარი და არ მიიღონ მონაწილეობა გოგონების დისკრიმინაციაში. ამრიგად, მნიშვნელოვანია, ულტრასონოგრაფიული კვლევის სპეციალისტების ნახალისება, ნაყოფის სქესის დადგენის სიზუსტის დაბალი ალბათობის გამო, თავი შეიკავონ სქესის გამხელისგან (თუ სამედიცინო მიზეზებით არ არის აუცილებელი) ორსულობის ადრეულ ვადაზე (14-16 კვირამდე), მშობლების მოთხოვნის მიუხედავად. ფეხმძიმობის ადრეულ ეტაპზე სქესის გამხელისგან თავის შეკავებით, წყვილები შეძლებენ, დამოუკიდებლად მიიღონ გადაწყვეტილებები ნაყოფთან დაკავშირებით. სქესის დადგენის გადავადებით, ორსულობის გვიან ეტაპზე იზრდება სქესის დადგენის სიზუსტე და მშობლებს კვლავ რჩებათ საკმარისი დრო, მოემზადონ ბიჭისა თუ გოგონას დაბადებისათვის.

UNFPA-ის საქართველოს ოფისმა ჯანდაცვის პროვადერებისათვის უკვე შეიმუშავა GBSS-ის საინფორმაციო ბროშურა და საკომუნიკაციო სახელმძღვანელო. ბროშურა მიზნად ისახავს ცნობიერების ამაღლებას GBSS-ზე, მის გამომწვევ მიზეზებსა და საზიანო შედეგებზე. ბროშურა ეხება ქალთა უფლებებსა და რეპროდუქციული ჯანმრთელობის საკითხებსაც. საკომუნიკაციო სახელმძღვანელო ჯანდაცვის სფეროში დასაქმებულებს კი აწვდის სასარგებლო რჩევებს, პოზიტიური გზავნილების ფორმირებისა და მშობლებთან უკეთესი კომუნიკაციისთვის. რეკომენდირებულია, საკომუნიკაციო კამპანიაში გამოყენებული ყველა IEC მასალა ხელმისაწვდომი იყოს სხვადასხვა (ქართულ, აზერბაიჯანულ და სომხურ) ენაზე.

მუნიციპალიტეტებისა და ადგილობრივი საგანმანათლებლო რესურს-ცენტრების დახმარებით, განსაზღვრულ რეგიონებში სამოქალაქო განათლების **პედაგოგთათვის** უნდა ჩატარდეს სამუშაო შეხვედრები. მასწავლებლები უნდა იყვნენ გათვითცნობიერებულები და სენსიტიურები, როდესაც საქმე გენდერის (მათ შორის GBSS-ის) საკითხებს ეხება, რათა საკლასო ოთახებში ამ თემებზე მსჯელობა შეძლონ. მასწავლებლებს უნდა მიენოდოთ საინფორმაციო, სასწავლო და საკომუნიკაციო მასალები, რაც მათაც დაეხმარება სასწავლო პროცესის წარმართვისას და მოსწავლეების დაინტერესებასაც გაზრდის.

**ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის** უნდა გაიმართოს შეხვედრებისა და ტრენინგების დამატებითი სერიები. ადგილობრივ დონეზე მომუშავე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან შეხვედრები მიმართულია GBSS-ის საზიანო პრაქტიკის აღმოფხვრისაკენ რეგიონებში და მიზნად ისახავს ადგილობრივი ორგანიზაციების კომპეტენციების გაძლიერებას, ცოდნის გაცვლასა და ინფორმაციის გავრცელებას. შესაძლებელია, განსხვავებული ტიპის სამოქალაქო ორგანიზაციების, მაგალითად, სპორტული კლუბების, მობილიზება. ახალგაზრდულ ორგანიზაციებს შეუძლიათ განსაკუთრებით ეფექტურები იყვნენ ახალი თაობების და მათი გავლით ოჯახებისა და საზოგადოების შეხედულებების ჩამოყალიბების პროცესში.

საინფორმაციო ხასიათის სამუშაო შეხვედრები და ტრენინგები უნდა ჩატარდეს **ტელე-რადიო მაუნ-ყებლობის, ონლაინ და ბეჭდური მედიის შერჩეულ ყურნალისტებთან**, რათა უფრო ეფექტურად გააშუქონ გენდერული თანასწორობის საკითხები და შეიმუშავონ გზავნილები, რომლებიც მიმართულია GBSS-ისა

და ვაჟებისადმი უპირატესობის მინიჭების პრაქტიკის აღმოფხვრისაკენ ადგილობრივ და ცენტრალურ დონეზე. მედიის წარმომადგენლები უნდა ნახალისდნენ, ქალები წარმოაჩინონ მისაბაძ მაგალითებად და ამით ხაზი გაუსვან ქალის მნიშვნელოვან როლს ქვეყნის განვითარების პროცესში.

**რელიგიურ და თემის ლიდერებთან** გადაკვეთის წერტილის აღმოსაჩენად და პარტნიორული ურთიერთობების ჩამოსაყალიბებლად სასარგებლო იქნება, დიალოგისა და საინფორმაციო შეხვედრების დროს ყურადღება გამახვილდეს მოსალოდნელ დემოგრაფიულ პრობლემებზე, რომლებიც GBSS-ით არის განპირობებული. რადგან მოსახლეობა კვლავ ღრმად მორწმუნეა და, შესაბამისად, რელიგიური ლიდერების გავლენა საზოგადოების ფასეულობებსა და ქცევაზე დიდია, მათთან პარტნიორული ურთიერთობების ჩამოყალიბება მნიშვნელოვანი დადებითი შედეგების მომტანი შეიძლება გახდეს. ყოველკვირეულ ქადაგებებში ღვთისმსახურებს შეუძლიათ ყურადღება გაამახვილონ გოგონებისა და ბიჭების თანაბარ ღირებულებაზე, ისაუბრონ იმაზეც, თუ რამდენად მნიშვნელოვანია, მშობლებმა მომავალი შვილები სქესის მიხედვით არ განასხვავონ.

| სამიზნე ჯგუფი                                      | გზანდობი   |
|--|--|
| <p><b>რეპროდუქციულ ასაკში მყოფი ქალები</b></p>     | <ul style="list-style-type: none"> <li>• ნუ განასხვავებ, გოგოც და ბიჭიც შენი მომავალია;</li> <li>• ხელი შევუწყობ ისეთი საზოგადოების მშენებლობას, სადაც გოგონები და ბიჭები თანაბრად სასურველი არიან და მათი პოტენციური სრულად რეალიზებულია;</li> <li>• მიეცით განვითარების შესაძლებლობა გოგონებს, რაც პოზიტიურ გავლენას იქონიებს მათ მშობლებსა და მთელ საზოგადოებაზე;</li> <li>• გოგონები ვაჟებზე არანაკლებ ღირებულნი არიან თავიანთი ოჯახებისა და შინამეურნეობებისათვის;</li> <li>• გავაძლიეროთ გენდერული თანასწორობა, რათა ქალებმა და კაცებმა შეძლონ თანაბრად ისარგებლონ, განვითარდნენ და თანაბარი წვლილი შეიტანონ ოჯახების, თემებისა და მთელი ქვეყნის მდგრად განვითარებაში.</li> </ul>  |
| <p><b>რეპროდუქციულ ასაკში მყოფი მამაკაცები</b></p> | <ul style="list-style-type: none"> <li>• ნუ განასხვავებ, გოგოც და ბიჭიც შენი მომავალია;</li> <li>• გოგონები ვაჟებზე არანაკლებ ღირებულნი არიან თავიანთი ოჯახებისა და შინამეურნეობებისათვის;</li> <li>• დაბადებისას სქესთა გადახრილ თანაფარდობას შეუძლია მომავალში დიდი დემოგრაფიული ზიანი მიაყენოს ქვეყანას;</li> <li>• გენდერულად თანასწორი საზოგადოება განაპირობებს ქვეყნის უფრო მდგრად განვითარებას ქალების აქტიური ჩართულობით სხვადასხვა სფეროში: ბიზნესი, პოლიტიკა, სოციალური ცხოვრება, კულტურა და ა.შ.;</li> <li>• მიეცით განვითარების შესაძლებლობა გოგონებს, რაც პოზიტიურ გავლენას იქონიებს მათ მშობლებსა და მთელ საზოგადოებაზე;</li> <li>• გოგონები, ისევე, როგორც ბიჭები, უმეტეს შემთხვევაში, მამის გვარის ქვეშ იხვეჭენ სახელს. სულ უფრო და უფრო მეტი ქალი აღწევს წარმატებას, რაც კიდევ უფრო ამაყს ხდის მათ მშობლებს.</li> </ul> |

| სამიზნე ჯგუფი                           | გზავნილი   |
|---|--|
| <p><b>ახალგაზრდები და მოზარდები</b></p> | <ul style="list-style-type: none"> <li>• ხელი შევუწყობთ გენდერული თანასწორობის მიღწევას, რათა კაცებმაც და ქალებმაც შეძლონ საკუთარი პოტენციალის სრულად რეალიზება;</li> <li>• გენდერული თანასწორობის ზრდა და თანაბარი შესაძლებლობები ხელს უწყობს გოგონებსა და ბიჭებს, შექმნან დოვლათი და მიაღწიონ წარმატებას;</li> <li>• მხარი დავუჭიროთ გენდერული სტერეოტიპების დაძლევისა და განათლების უფლების უზრუნველყოფას, ყოველგვარი გენდერული დისკრიმინაციის გარეშე;</li> <li>• გენდერული თანასწორობა ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში მცხოვრებ ქალებს დაეხმარება უფრო მაღალი ხარისხის განათლების მიღებასა და დამოუკიდებლობის მიღწევაში.</li> </ul>   |
| <p><b>მეუღლის მშობლები</b></p>          | <ul style="list-style-type: none"> <li>• გოგონები და ბიჭები არიან თანასწორნი, მათ შეუძლიათ ოჯახებს ერთნაირად ამოუდგინონ მხარში და შესწავთ უნარი, გახდნენ ფინანსურად დამოუკიდებელი და წარმატებულნი;</li> <li>• ხანდაზმულ მშობლებზე, უმეტესწილად, ქალიშვილები ზრუნავენ;</li> <li>• თანაბარი მოპყრობით გოგონებსაც შეუძლიათ წარმატებას მიაღწიონ და საკუთარ ოჯახებს დაეხმარონ;</li> <li>• დაბადებისას სქესთა გადახრილ თანაფარდობას შეუძლია მომავალში დიდი დემოგრაფიული ზიანი მიაყენოს ქვეყანას;</li> <li>• ხელი შევუწყობთ ისეთი საზოგადოების მშენებლობას, სადაც გოგონები და ბიჭები თანაბრად სასურველი არიან და მათი პოტენციალი სრულად რეალიზებულია;</li> <li>• გენდერულად თანასწორი საზოგადოება განაპირობებს ქვეყნის უფრო მდგრად განვითარებას ქალების აქტიური ჩართულობით სხვადასხვა სფეროში: ბიზნესი, პოლიტიკა, სოციალური ცხოვრება, კულტურა და სხვ.;</li> <li>• ნუ განასხვავებ, გოგოც და ბიჭიც შენი მომავალია;</li> <li>• გოგონები, ვაჟებზე არანაკლებ ღირებულნი არიან თავიანთი ოჯახებისა და შინამეურნეობებისათვის.</li> </ul> |

| სამიზნე ჯგუფი                           | გზავნილი   |
|---|--|
| <p><b>მთავრობის წარმომადგენლები</b></p> | <ul style="list-style-type: none"> <li>• გენდერულად თანასწორი საზოგადოება განაპირობებს ქვეყნის უფრო მდგრად განვითარებას ქალების აქტიური ჩართულობით სხვადასხვა სფეროში: ბიზნესი, პოლიტიკა, სოციალური ცხოვრება, კულტურა და სხვ.;</li> <li>• მნიშვნელოვანია, ხაზი გაესვას საზოგადოებაში ქალების არა-სტერეოტიპებზე დაფუძნებულ როლებს (მაგ., მხოლოდ დედის როლი). უნდა მოვიყვანოთ იმ ქალების მაგალითები, რომლებიც სწავლობენ, შეუერთდნენ შრომის ბაზარს, აქვთ კარიერა, მართავენ ბიზნესს და წვლილი შეაქვთ შემოსავლებისა და განვითარების ზოგადი დონის ამაღლებაში ქვეყნის მასშტაბით;</li> <li>• ადამიანური კაპიტალი არის ქვეყნის უმთავრესი რესურსი; თითოეული პირისათვის შესაძლებლობების მიცემა და საკუთარი პოტენციალის სრულად რეალიზებისთვის შანსის ქონა ქვეყნის მდგრადი განვითარებისათვის უმნიშვნელოვანესია;</li> <li>• ხელი შევუწყოთ ისეთი საზოგადოების მშენებლობას, რომელშიც გოგონები და ბიჭები თანაბრად სასურველი არიან და მათი პოტენციალი სრულადაა რეალიზებული.</li> </ul> |
| <p><b>მასწავლებლები</b></p>             | <ul style="list-style-type: none"> <li>• გენდერულად თანასწორი საზოგადოება განაპირობებს ქვეყნის უფრო მდგრად განვითარებას ქალების აქტიური ჩართულობით სხვადასხვა სფეროში: ბიზნესი, პოლიტიკა, სოციალური ცხოვრება, კულტურა და სხვ.;</li> <li>• ხელი შევუწყოთ ისეთი საზოგადოების ჩამოყალიბებას, რომელშიც გოგონები და ბიჭები თანაბრად სასურველი არიან და მათი პოტენციალი სრულადაა რეალიზებული, გენდერული ნიშნით დისკრიმინაცია კი მიუღებელი და აკრძალულია;</li> <li>• ორივე სქესის წარმომადგენლების მომავლის მიმართ თანაბარი მოლოდინი არსებობს;</li> <li>• გოგონებში ინვესტირება სასარგებლოა მათი ოჯახების, თემისა და, ზოგადად, ქვეყნისათვის;</li> <li>• თანაბარი შესაძლებლობების არსებობის პირობებში, გოგონებიც ისეთივე წარმატებულები არიან, როგორც ბიჭები.</li> </ul>  |

| სამიზნე ჯგუფი                                 | გზავნილი  |
|---|---|
| <p><b>ჯანდაცვის სფეროში დასაქმებულები</b></p> | <ul style="list-style-type: none"> <li>• აბორტი არის არა მიზეზი, არამედ საშუალება, რომლითაც ხდება გენდერული ნიშნით სქესის შერჩევა;</li> <li>• აღსანიშნავია, რომ აბორტების აკრძალვა არათუ ვერ აღმოფხვრის სქესის შერჩევის პრობლემას, არამედ სახიფათო აბორტების რაოდენობის ზრდის კატალიზატორი გახდება, რაც, თავის მხრივ, გაზრდის სახიფათო აბორტებით გამოწვეული სიკვდილიანობისა და გართულებების შემთხვევებს;</li> <li>• <b>ბავშვის ჯანმრთელობა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მისი სქესი; როგორც გოგოს, ისე ბიჭის დაბადება ბუნებრივი მოვლენაა.</b> გზავნილები უნდა გამოხატავდეს სიყვარულსა და ზრუნვას, ხაზს უსვამდეს გოგონების ღირებულებას და მათთან ურთიერთობის მნიშვნელობას და ყურადღებას ამახვილებდეს ბავშვის დაბადებით გამოწვეულ სიხარულზე;</li> <li>• პოზიტიური კომუნიკაცია განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ ოჯახებთან ურთიერთობისას, რომლებსაც უკვე ჰყავთ ორი შვილი, რადგან აღნიშნულ შემთხვევაში გენდერული ნიშნით ჩატარებული აბორტები ძალზე გავრცელებული მოვლენაა. შესაძლებელია, მათ მიეწოდოთ ინფორმაცია, თუ როგორ იცვლება დამკვიდრებული ნორმები ქართველ საზოგადოებაში, აგრეთვე, ეცნობოთ, რომ სამი გოგონას ყოლა სრულიად ნორმალურია;</li> <li>• ხაზი გაესვას, რომ საქართველოში აბორტი ლეგალურია და, ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, წარმოადგენს ქალის რეპროდუქციულ უფლებას. ამასთან, აღსანიშნავია, რომ გენდერული ნიშნით სქესის შერჩევისთვის აბორტის გაკეთება დაუშვებელია, თუ აუცილებელი არაა სქესობრივი ნიშნით თანდაყოლილი დაავადებების თავიდან აცილება;</li> <li>• მნიშვნელოვანია, ხაზი გაესვას საზოგადოებაში ქალების, არასტერეოტიპებზე დაფუძნებულ როლებს (მაგ., მხოლოდ დედის როლი). მოყვანილ იქნას იმ ქალების მაგალითები, რომლებიც სწავლობენ, შეუერთდნენ შრომის ბაზარს და აქვთ კარიერა;</li> <li>• უნდა მიეწოდოთ ინფორმაცია ტექნოლოგიების ეთიკურად გამოყენების, ჩანასახის განვითარების სპეციფიკის, მაგალითად მე-12 კვირამდე სქესის დადგენის მაღალი უზუსტობის შესახებ. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ მშობლებს ფეხმძიმობის მე-16 კვირამდე არ ეცნობოთ ნაყოფის სქესი. ამგვარად, წყვილები შეძლებენ მიიღონ ინფორმირებული გადაწყვეტილებები და ჰქონდეთ საკმარისი დრო, მოემზადონ გოგონასა თუ ბიჭის დაბადებისთვის.</li> </ul> |

| სამიზნე ჯგუფი      | გზავნილი  |
|--------------------|---|
| CSO-ები და NGO-ები | <ul style="list-style-type: none"> <li>• ნუ განასხვავებ, გოგოც და ბიჭიც შენი მომავალია;</li> <li>• გოგონები ვაჟებზე არანაკლებ ღირებულნი არიან თავიანთი ოჯახებისა და შინამეურნეობებისათვის;</li> <li>• დაბადებისას სქესთა გადახრილ თანაფარდობას შეუძლია მომავალში დიდი დემოგრაფიული ზიანი მიაყენოს ქვეყანას;</li> <li>• გენდერულად თანასწორი საზოგადოება განაპირობებს ქვეყნის უფრო მდგრად განვითარებას ქალების აქტიური ჩართულობით სხვადასხვა სფეროში: ბიზნესი, პოლიტიკა, სოციალური ცხოვრება, კულტურა და ა.შ.;</li> <li>• მიეცით განვითარების შესაძლებლობა გოგონებს, რაც პოზიტიურ გავლენას იქონიებს მათ მშობლებსა და მთელ საზოგადოებაზე;</li> <li>• მნიშვნელოვანია, ხაზი გაესვას საზოგადოებაში ქალების არა სტერეოტიპებზე დაფუძნებულ როლებს (მაგ., მხოლოდ დედის როლი). მოყვანილ უნდა იქნას იმ ქალების მაგალითები, რომლებიც სწავლობენ, შეუერთდნენ შრომის ბაზარს და აქვთ კარიერა.</li> </ul> |

## 4. კომუნიკაციისა და ადვოკატირების ერთ-ერთი ფორმა: მედიასთან მჭიდრო თანამშრომლობა

როდესაც საქმე საზოგადოების ცნობიერების ამაღლებასა და ქცევის ტრანსფორმაციას ეხება, მედიის როლი უმნიშვნელოვანესია, რადგან ჩვენსა და საზოგადოებას შორის მნიშვნელოვანი დამაკავშირებელი რგოლია. მასმედიას შეუძლია ხმა მიანვიდინოს **ადამიანთა დიდ ჯგუფებს** და კონკრეტულ სამიზნე ჯგუფებთან სპეციალურად მათთვის შემუშავებული გზავნილები მიიტანოს. საზოგადოებისათვის ხმის მიწვდენა შესაძლებელია **პირდაპირი** გზით, ასევე **არაპირდაპირ** იმ ადამიანების საშუალებით, რომლებიც გზავნილებს სამეგობრო წრეში განიხილავენ.

გასათვალისწინებელია, რომ თითოეულ სამიზნე აუდიტორიასთან სამუშაოდ უნდა დადგინდეს, რომელი მედია საშუალება იქნება ყველაზე ეფექტური. ამიტომ აუცილებელია, გაანალიზდეს, **საზოგადოებაში ვინ, როგორ და რისთვის მოიხმარს მედია-პროდუქტს**. კვლევითი სააგენტოების დახმარებით, შეიძლება განისაზღვროს მედიის რეიტინგები, დადგინდეს მათი მომხმარებლების სქესი და ასაკი და, ამის გათვალისწინებით, განისაზღვროს გზავნილების შინაარსი თითოეული მედია-საშუალებებისათვის.

GBSS-ის წინააღმდეგ მიმართული კამპანიისათვის შეგვიძლია გამოვიყენოთ ეროვნული და ადგილობრივი ტელევიზიები, ჟურნალ-გაზეთები, ონლაინ მედია-საშუალებები, ბლოგები და სოციალური ქსელები.



● ფანასნორობის კედელი მარნეულში, არტისტი გაგომა მუშაობის პროცესში  
 ფოტო: UNFPA Georgia / ვლადიმერ ვალიშვილი

რადიოსა და ტელევიზიაზე წვდომა საქართველოს მოსახლეობის უდიდეს ნაწილს აქვს.<sup>12</sup> შესაბამისად, ამ მედია-საშუალებებით შესაძლებელია, GBSS-ზე, მის მოსალოდნელ შედეგებზე, ქალთა უფლებებსა და გარკვეულ პოლიტიკებზე ინფორმაცია ყველა სამიზნე ჯგუფს მიენოდოს. ინფორმაცია შეიძლება გავრცელდეს სხვადასხვა გზით. მაგალითად, ცნობადი სახეების (მწერლები, მომღერლები, მხატვრები, მსახიობები, პოეტები და სხვ.) მონაწილეობით შეიძლება შეიქმნას რეკლამები და მოკლე ვიდეოკლიპები. აღსანიშნავია, რომ საქართველოს კანონი „მაუწყებლობის შესახებ“, <sup>13</sup> საქართველოს საზოგადოებრივ მაუწყებელს, აჭარის ტელევიზიას, საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლობის განკარგულებაში არსებულ საქართველოს რადიოსა და სხვა საზოგადოებრივ მაუწყებლებს ავალდებულებს, ყოველ საათში სულ მცირე 60 წმ. გამოყონ უფასო სოციალური რეკლამებისათვის, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე. დიდი ალბათობით, არც კერძო ტელე-რადიო კომპანიები იტყვიან უარს საკუთარ ეთერში სოციალური რეკლამების უფასოდ გაშვებაზე.

ექსპერტებთან გენდერულ საკითხებზე გამართული დისკუსიები შეიძლება სხვადასხვა თოქ-შოუს თემებად იქცეს. პოპულარულ თოქ-შოუებში შესაძლებელია, თავიანთი ისტორიები მოყვნიენ მაგალითად ქალებმა, რომლებიც ოჯახში მე-3 ან მე-4 შვილად დაიბადნენ ან მათ, ვინც ვაჟის არყოლის გამო მიატოვეს, ასევე კაცებმა, რომლებსაც იმიტომ დასცინიან, რომ მხოლოდ გოგონები ჰყავთ. ტელეკომპანიებს ისტორიები სრული სახით უნდა მიენოდოს, რათა სხვადასხვა ასპექტი ექსპერტებთან ერთად გაანალიზდეს. მხატვრები, მომღერლები, მსახიობები, პოეტები და მწერლები არამხოლოდ სატელევიზიო რეკლამებში უნდა მონაწილეობდნენ, არამედ სტუმრობდნენ სხვადასხვა ტელე თუ რადიო გადაცემას, მხარს უჭერდნენ გენდერულ თანასწორობას და საუბრობდნენ GBSS-ის საზიანო პრაქტიკაზე.

12 საქართველოს მოსახლეობის ცოდნა და დამოკიდებულება სასამართლო სისტემის მიმართ, 2018 წ.

13 საქართველოს კანონი მაუწყებლობის შესახებ.

GBSS-ის თემაზე თოქშოუები რადიოებშიც შეიძლება გაიმართოს, ასევე გამოქვეყნდეს ბლოგები მათ ონლაინ პლატფორმებზე. საზოგადოებრივ ტრანსპორტში ხალხი ხშირად უსმენს რადიო „არ დაიდარდოს“ და „დარდიმანდს“, ამიტომაც ამ რადიო საშუალებებში მოკლე სარეკლამო რგოლების გაშვებით, შეგვიძლია მოსახლეობის დიდ ნაწილს მივანვძინოთ ხმა. კარგი იქნება მათი ოფიციალური ფეისბუქ-გვერდების გამოყენებაც, სადაც გადაცემების ჩანაწერები განთავსდება.

ტელევიზიებთან და რადიოებთან თანამშრომლობას, განხილულ უპირატესობებთან ერთად, გარკვეული ნაკლიც აქვს. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ინფორმაცია ჟურნალისტებისა და რედაქტორების ხელში ხვდება, რამაც, შესაძლოა, მასალის შინაარსზე კონტროლი დაგვაკარგვინოს. მეტიც, შეიძლება მასალა საერთოდ არ გავიდეს ეთერში; ან სიუჟეტი ან/და მთლიანად პროგრამა ზედმეტად გამარტივებული სახით ან გარკვეული უზუსტობებით გაშუქდეს. იმ შემთხვევაში, თუ ისტორიასთან ერთად საპირისპირო ხასიათის მოსაზრებებიც გაჟღერდება, საზოგადოებამ შეიძლება უარყოფითად აღიქვას და საკითხი კიდევ უფრო მარგინალიზდეს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ჟურნალისტებისთვის მასალების მიწოდება იმ ფორმით, რომ შინაარსის შეცვლის შესაძლებლობა მინიმალური იყოს. მაგალითად, კარგი იქნება, თუ ფაქტები, სანამ საზოგადოებას მიეწოდება, გადამოწმდება, ხოლო სანაწარმდეგო მოსაზრებებთან გასამკლავებლად კონტრარგუმენტები მომზადდება.

ზოგიერთ რეგიონში ეროვნულთან ერთად ადგილობრივი ტელევიზიებიც პოპულარულია. შესაბამისად, მნიშვნელოვანია მათთან თანამშრომლობა, განსაკუთრებით ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში, სადაც ენობრივი ბარიერი არსებობს. ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში ბევრი ეთნიკურად აზერბაიჯანელი და სომეხი ცხოვრობს, ამიტომ ადგილობრივი მედია-საშუალებები ორ ენაზე ფუნქციონირებენ, რაც მათთვის ინფორმაციის მშობლიურ ენაზე მიტანას უზრუნველყოფს. მაგალითად, მარნეულის ტელევიზია და რადიო გადაცემებსა და რეკლამებს როგორც ქართულ, ისე აზერბაიჯანულ ენებზე ამზადებს. ორენოვანია სამცხე-ჯავახეთში მომუშავე რადიო „სამხრეთის კარიბჭეც“, რომელიც ქართულ და სომხურ ენებზე მუშაობს.

გენდერულ თანასწორობასა და ვაჟებისადმი უპირატესობის მინიჭების პრაქტიკაზე რეკლამები და სტატიები შესაძლებელია ტრადიციული ბეჭდური მედიითაც გავრცელდეს. ბეჭდურ მედიას, ბროშურების მსგავსად, შეუძლია დეტალიზებული ინფორმაციის მიწოდება, რომელიც შეიძლება შენახული და გამოყენებული იყოს როგორც წყარო.

## 4.1 კომუნიკაციის დამატებითი საშუალებები

მასმედიის საშუალებებთან ერთად, ცნობადი სახეები და ორგანიზაციები შეიძლება ძალზე ეფექტურები აღმოჩნდნენ ისეთი გზავნილების გავრცელებაში, რომლებიც მიმართულია ვაჟებისადმი უპირატესობის მინიჭების პრაქტიკასა და GBSS-თან დაკავშირებული სოციალური ნორმებისა და ქცევის შეცვლისაკენ. საზოგადოებისთვის ნაცნობ სახეებს შეუძლიათ იყვნენ ე.წ. „ცვლილების აგენტები“ და თანამონაწილეობით მეტი დამაჯერებლობა შეჰმატონ კამპანიას. მაგალითად, სპორტის, კინოს, შოუბიზნესისა თუ სხვა სფეროების პოპულარული წარმომადგენლების ჩართვა გზავნილებს უფრო მიმზიდველს გახდის, ისევე, როგორც პროდუქციის რეკლამირების დროს ხდება ხოლმე.

კარგი იქნება, თუ კამპანიაში გოგონების მამებსაც ჩავრთავთ, რომლებსაც თავიანთ მამობრივ გამოცდილებაზე საუბრით შეეძლება, საზოგადოებაში ე. წ. „ცვლილებების აგენტებად“ იქცნენ. პოლიტიკური ლიდერები, რომლებსაც სამი ან მეტი ქალიშვილი ჰყავთ, განსაკუთრებით ეფექტურები იქნებიან ადვოკატირებისათვის. ისინი შეიძლება გასართობ სტელევიზიო გადაცემებში სტუმრების ამპლუაში მოგვევლინონ. ასევე, მათი გოგონების აღზრდასთან დაკავშირებული ცხოვრებისეული ისტორიები კარგი მასალა იქნება სოციალური მედიისთვის. ანალოგიურად, გადაცემების სტუმრების ამპლუაში, თავიანთ სირთულეებსა თუ წარმატებებზე სასაუბროდ შეიძლება მოვიწვიოთ ქალი პოლიტიკოსები და საზოგადო მოღვაწეები, რომლებიც თავიანთ ოჯახში რიგით მე-3 ან მე-4 ქალიშვილები არიან.



სახელმწიფო დონის პოლიტიკოსებს მთელი ქვეყნის მასშტაბით იცნობენ, თუმცა რეგიონებში მსგავსი აქტივობების განხორციელებაში შეგვიძლია ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები ჩაერთონ. ამ ადამიანებს აქვთ მნიშვნელოვანი გავლენა და ავტორიტეტი და, შესაბამისად, მათი მობილიზებით შესაძლებელია, შეიცვალოს GBSS-თან დაკავშირებული სოციალური ნორმები და ქცევა. სასარგებლო იქნება, თუ ამ საკითხზე კომუნიკაციის გასაზრდელად, საინფორმაციო შეხვედრა/ტრენინგი ჩაუტარდება.

## 5. პროგრესის მონიტორინგი, გავლენის შეფასება, შეფასების სხვადასხვა ტიპი და ინდიკატორი

მონიტორინგი და შეფასება პროგრამის წარმატებისთვის აუცილებელი კომპონენტებია. კორექტირებების შესატანად საჭიროა რეგულარული შემოწმებები. უნდა შეფასდეს სხვადასხვა საკომუნიკაციო არხის ეფექტიანობაც, გაიზომოს პროგრამის გავლენა და მოხდეს გამოცდილების გაზიარება.

**გავლენის შეფასება - რანდომიზებული კონტროლირებადი კვლევა (RCT)** არის ოქროს სტანდარტი გავლენის შეფასებაში. აღნიშნული კვლევისათვის საჭიროა საკონტროლო ჯგუფი, რომლის დახმარებითაც დადგინდება, რა შედეგები დადგებოდა პროგრამის არარსებობის პირობებში.

RCT-ის გამოყენება საკომუნიკაციო კამპანიის შესაფასებლად შედარებით რთულია, რადგან, როგორც წესი, მსგავსი კამპანიები ისეა შემუშავებული, რომ გზავნილები საზოგადოებას მიენოდოს და დიდია ალბათობა, სამიზნე ჯგუფისათვის განკუთვნილი გზავნილი საკონტროლო ჯგუფშიც გავრცელდეს. მართალია, ე.წ. „ბუნებრივი ექსპერიმენტები“ დახმარებით შეიძლება მონაცემების შეგროვება, მაგრამ შეფასების გასაკეთებლად საჭიროა პროგრამა უკვე რამდენიმე წლის განმავლობაში ხორციელდებოდეს. ბუნებრივი ექსპერიმენტის მაგალითად შეგვიძლია განვიხილოთ შემთხვევა, როცა ადამიანთა მხოლოდ ერთ ჯგუფს ჰქონდა გარკვეულ სატელევიზიო არხზე წვდომა. ანალიზისას შეიძლება ყურადღება გამახვილდეს, შეიცვალა თუ არა რაიმე ვაჟებისადმი უპირატესობის მინიჭების პრაქტიკაში ან გაიზარდა თუ არა საზოგადოების მხარდაჭერა თანაბარი ინვესტირების სასარგებლოდ გოგონებსა და ბიჭებში.

პროგრამის განმახორციელებელი არ უნდა მოელოდეს, რომ დაბადებისას სქესთა რაოდენობრივ თანაფარდობაში რაოდენობრივი ცვლილებების გაზომვას შეძლებს. მსგავს ცვლილებებს გარკვეული დრო სჭირდება. ამასთან, შედეგზე ურთიერთდაკავშირებული ფაქტორების მთელი ჯგუფი მოქმედებს. ზოგიერთი ფაქტორი კი (მაგალითად პენსიის ოდენობა და სოციალური დაცვის სისტემების ადეკვატურობა) კვლევის სფეროს საერთოდ არ განეკუთვნება.

RCT ძალიან კარგი ინსტრუმენტია მაშინ, როცა კამპანია ან პროექტი ხორციელდება შეზღუდულ არეალში და არ მოიცავს მთელ პოპულაციას. RCT გამოიყენება სხვადასხვა ინტერვენციის ეფექტიანობის შეფასებისა და მათ შორის საუკეთესოს დასადგენად. შესაბამისად, გავლენის შეფასების სტანდარტული ინსტრუმენტების (ისეთი, როგორიცაა RCT) გამოყენების ნაცვლად, შეიძლება უმჯობესი იყოს, შეფასდეს (1) საკომუნიკაციო კამპანიის განხორციელების პროცესი (თუ პროცესი გეგმის მიხედვით წარიმართა, ჩვენი მიზნებისთვის, საჭიროა, შეფასდეს, მაგალითად, რა დონეზე იყო რეგიონებში ტელეარხის დაფარვა და სხვ.) და (2) კომუნიკაციის კამპანიის კონკრეტული შედეგები (რა ისწავლა საზოგადოებამ ამა თუ იმ სატელევიზიო გადაცემიდან [უნდა დადგინდეს გამოკითხვებითა და ფოკუს-ჯგუფების ჩატარებით] და სხვ.).

იმ შემთხვევაში, თუ საკომუნიკაციო კამპანიაში არსებობს აქტივობები (გარდა სატელევიზიო პროგრამებისა), რომლებიც ზემოქმედებს ეთნიკურ უმცირესობათა მხოლოდ მცირე ჯგუფზე (იმავე უმცირესობაში არსებობენ სხვები, რომლებზეც აქტივობებს გავლენა არ მოუხდენია), მაშინ შეიძლება ზეგავლენა სტანდარტულად (მაგ. RCT-ის გამოყენებით) შეფასდეს. RCT, როგორც წესი, ხანგრძლივი პროცესია, რადგან

გავლენას დროში აფასებს. ალტერნატიულად, არსებობს სხვა, ნაკლები სიზუსტის მქონე შეფასების ინსტრუმენტები, მაგალითად, გამოკითხვები.

**ნაკლები სიზუსტის მქონე შეფასების ინსტრუმენტები – გამოკითხვებით შეგროვებული მონაცემები** შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც რეგულარული უკუკავშირის მისაღებად, ისე პროგრამის გავლენის შესაფასებლად. მიუხედავად იმისა, რომ გავლენის შეფასების აღნიშნული მეთოდი, RCT-თან შედარებით, ნაკლები სიზუსტისაა, მისი ადმინისტრირება მარტივია, თუ რეგულარულად ჩატარებული გამოკითხვების მონაცემებს გამოვიყენებთ.

მსგავსი შეფასებები, ძირითადად, ზომავს ცვლილებებს კონკრეტული ინდიკატორების საბაზო, ინტერვენციის განხორციელებამდე დონესა და ინტერვენციის მიმდინარეობის ან მისი დასრულების შემდეგ, იმავე ინდიკატორების მაჩვენებელს შორის.

მსგავსი გამოკითხვებით შესაძლებელია დადგინდეს, რამდენად შეიცვალა საზოგადოების შეხედულებები გენდერული თანასწორობის საკითხებთან დაკავშირებით შემდეგ ასპექტებში: მამების მხრიდან ქალიშვილებსა და ვაჟებზე ზრუნვა, მემკვიდრეობის თანაბარად გადაცემა გოგონებისა და ბიჭებისთვის, გოგონების, როგორც მშობლების დამხმარეების, აღიარება, და, ზოგადად, მამაკაცისა და ქალის როლი ოჯახსა და საზოგადოებაში. ასევე, გამოკითხვების მონაცემებზე დაყრდნობით, შესაძლებელია ცვლილების შეფასება ქცევაში კამპანიის დასრულების შემდეგ. შეფასებისას ამგვარი მიდგომის ერთ-ერთი მაგალითია ე.წ. KAP (ცოდნა, დამოკიდებულება და პრაქტიკა) გამოკითხვები, რომლებიც გამოიყენება ოჯახის დაგეგმვის პროგრამების შესაფასებლად.

გამოკითხვების გამოყენება სასარგებლოა პროგრამის დიზაინის შემუშავების პროცესშიც. საბაზისო კვლევის ანალიზი შესაძლებელია რესპონდენტების ასაკის, სქესის, ოჯახში არსებული პოზიციის, საცხოვრებელი ადგილისა და სხვა სოციალურ-ეკონომიკურ მახასიათებლების მიხედვით, რის შედეგადაც დადგინდება, თუ რომელ მახასიათებელთან არის მოსახლეობის ესა თუ ის შეხედულება დაკავშირებული. აღნიშნულ ინფორმაციაზე დაყრდნობით კი სამიზნე ჯგუფებზე საკომუნიკაციო გეგმის უკეთ მორგება იქნება შესაძლებელი. მონაცემების ანალიზი, ჯერ კიდევ პროგრამის მსვლელობისას, დაგეგმვარება, დავადგინოთ, საჭიროა თუ არა პროგრამის მოდიფიკაცია. გარდა ამისა, პროგრამის დიზაინის შემუშავებისას არსებულ ცოდნასთან წვდომა ან საბაზო მონაცემების ანალიზი შემდეგში გავლენის შეფასების პროცესში შეიძლება ძალიან სასარგებლო აღმოჩნდეს.

საქართველოში ვაჟებისადმი უპირატესობის მინიჭების საკითხთან მიმართებით ცვლილებების შესაფასებლად ძალზე მარტივი და იაფია ყოველწლიური კვლევების კითხვარებში ერთი ან ორი კითხვის ჩამატება. ამ გზით შესაძლებელია, დაფიქსირდეს ცვლილებები ინდიკატორებში, რომლებიც ვაჟებისადმი უპირატესობის მინიჭებას ზომავს და შედარდეს GBSS-ის ცვლილებებთან. კითხვარში პოტენციურად შეიძლება დაემატოს დაოჯახებულ ადამიანებზე გათვლილი შემდეგი სახის კითხვები: „როგორია თქვენთვის ოჯახის იდეალური შემადგენლობა?“, „ერთი შვილის ყოლის შემთხვევაში, ვაჟს მიანიჭებდით უპირატესობას თუ გოგონას?“ და სხვ.

გამოკითხვები შესაძლებელია შინამეურნეობების ინტეგრირებული კვლევებიდან ავიღოთ, რომლებსაც საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური უძღვება; ან კავკასიის ბარომეტრიდან, რომელსაც კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი ხელმძღვანელობს. ეროვნული მასშტაბის მსგავსი კვლევები საშუალებას იძლევა, რესპონდენტთა პასუხები გაანალიზდეს სხვადასხვა (ქალაქის, სოფლის, რეგიონულ, ასაკის, სქესისა და სხვ.) ჭრილში.

ფოკუს-ჯგუფების დისკუსიები კიდევ ერთი პოპულარული მეთოდია მოსახლეობის მოსაზრებების გასაცნობად და საინტერესო დეტალების სწრაფად შესაგროვებლად. თუმცა ფოკუს-ჯგუფები მნიშვნელოვანი ნაკლით ხასიათდება – დისკუსიის განვითარების დინამიკამ შესაძლოა ამა თუ იმ პირზე ზეგავლენა მოახდინოს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ჯგუფის წევრები ერთად მცხოვრები პირები, მეგობრები ან თანამშრომლები არიან. ინდივიდებმა შეიძლება არ გააყუღონ საწინააღმდეგო შეხედულებები ან არ შეენი-ნააღმდეგონ მათზე სტატუსით მაღლა მდგომის განცხადებას. გარდა ამისა, ვინაიდან ფოკუს-ჯგუფების

მონაწილეების შერჩევა სტატისტიკური მეთოდით არ მომხდარა, შეუძლებელია მცირე ჯგუფიდან მიღებული შედეგების განზოგადება.

**პროცესის შეფასება** გულისხმობს იმის გაანალიზებას, განხორციელდა თუ არა პროგრამის აქტივობები დასახული გეგმის მიხედვით და მოჰყვა თუ არა ამ აქტივობებს კონკრეტული სახის შედეგები. პროცესის შეფასება პასუხობს შემდეგ კითხვებს: რა გაკეთდა პროგრამის ფარგლებში? სად და როდის განხორციელდა პროგრამის აქტივობები? რა არის პროგრამის აქტივობების ხელშემწყობი ან ხელშემშლელი ფაქტორები? პროცესის ამგვარად შეფასება უნდა ატარებდეს რეგულარულ ხასიათს. რეგულარული უკუკავშირი, თავის მხრივ, დაგეგმვარება, დავადგინოთ, რამდენად ეფექტურია ჩარევა. პროცესის შეფასება არის ყველაზე იაფი და მარტივი მეთოდი, რომელიც აფასებს საბაზისო მაჩვენებლებს, მაგალითად, როგორებიცაა სამიზნე ჯგუფების სიდიდე, მათი დამოკიდებულებები გზაენილის მიმართ.

პროცესის შეფასება მოიცავს პროგრამის ფარგლებში განხორციელებული სხვა აქტივობების შეფასებასაც (მაგალითად: რამდენმა მასწავლებელმა და ადგილობრივი მთავრობის წარმომადგენელმა გაიარა ტრენინგი ადვოკატირების მიმართულებით? როგორი იყო მათი უკუკავშირი?) მსგავსი შეფასებების გაკეთება შესაძლებელია ტრენინგის დასასრულს მონაწილეთათვის შესაბამისი კითხვარების დარიგებით.

პროცესის შეფასებისას შესაძლოა ჩადებული რესურსიც იქნას გათვალისწინებული, მაგალითად, GBSS-ის თემაზე გადამზადებული მედიკოსების რაოდენობა, მასწავლებლების რაოდენობა, ცვლილებები სასწავლო კურიკულუმებში (გენდერულ თანასწორობაზე დამატებული თემების რაოდენობა) და სხვ. აღნიშული რაოდენობრივი მონაცემები დამატება სიცხადეს მატებს, თუ რამდენად წარმატებით მიმდინარეობს დაგეგმილი ინტერვენცია.

## ბიბლიოგრაფია

კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი (2018 წ.). საქართველოს მოსახლეობის ცოდნა და დამოკიდებულება სასამართლო სისტემის მიმართ, 2018 წელი. წყარო აღებულია ბმულიდან:

<https://caucasusbarometer.org/en/emc2018ge/INFSOU1/>

*Das Gupta, M. (2019). Regional Strategy of Communication & Advocacy to Prevent Gender-Biased Sex Selection. UNFPA.*

საქართველოს კანონი მათწყებლობის შესახებ. წყარო აღებულია ბმულიდან:

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/32866>

გილმოტო ქ.ზ. და ტაფურო ს. (2017 წ.). დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის ტენდენციები საქართველოში – 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგებზე დაფუძნებული მიმოხილვა. საქართველო, თბილისი. საქსტატი; UNFPA.

გილმოტო ქ.ზ. (2015 წ.). გენდერული ნიშნით სქესის შერჩევა საქართველოში: კონტექსტი, მტკიცებულებები და შედეგები. საქართველო, თბილისი. UNFPA.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (2016 წ.). მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის ძირითადი შედეგები. საქართველო, თბილისი. წყარო აღებულია შემდეგი ბმულიდან:

[http://census.ge/files/results/Census%20Release\\_GEO.pdf](http://census.ge/files/results/Census%20Release_GEO.pdf)

UNFPA. (2018). საქართველო ქვეყნის პროფილი. გლობალური პროგრამა გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის პრევენციისა და გენდერული თანასწორობის გაძლიერებისათვის.

UNFPA. (2018). ფაქტების უწყისი. საქართველო. გლობალური პროგრამა გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის პრევენციისა და გენდერული თანასწორობის გაძლიერებისათვის.

UNFPA. (2017). *Addressing Gender-Biased Sex Selection. Communication Guide for Service Providers and Doctors.*

UNFPA. (2018). *MenCare Georgia*. Retrieved from:  
<https://georgia.unfpa.org/en/publications/mencare-georgia-2018>

გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) გლობალური პროგრამა აზიისა და კავკასიის ქვეყნებში გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის პრევენციისა და გენდერული თანასწორობის გაძლიერებისათვის

პროგრამა მიზნად ისახავს წვლილი შეიტანოს მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკისა და პროგრამების განვითარებაში, რომლებიც მიმართულია ვაჟისადმი უპირატესობის მინიჭების აღმოფხვრისკენ, ქალთა გაძლიერებისა და გენდერული თანასწორობის მიღწევისაკენ და, ამგვარად, ამ საზიანო პრაქტიკის პრევენციას შეუწყობს ხელს აზიისა (ბანგლადეში, ვიეტნამი, ნეპალი) და კავკასიის (სომხეთი, აზერბაიჯანი, საქართველო) იმ ქვეყნებში, სადაც ეს პრაქტიკა გავრცელებული.

გაეროს მოსახლეობის ფონდი (UNFPA)

საქართველოს ოფისი

გაეროს სახლი

თბილისი, საქართველო

0179 , ერისთავის ქ. 9

[www.georgia.unfpa.org](http://www.georgia.unfpa.org)

ISET-ის კვლევითი ინსტიტუტი არის წამყვანი და დამოუკიდებელი ეკონომიკის კვლევითი ცენტრი საქართველოსა და სამხრეთ კავკასიაში. ინსტიტუტის საქმიანობის საგანს წარმოადგენს როგორც კვლევითი და საკონსულტაციო საქმიანობა, ისე ტრენინგებისა და დისკუსიების ორგანიზება საჯარო პოლიტიკის ირგვლივ, რისი მიზანიც საქართველოსა და რეგიონის ეკონომიკური ტრანსფორმაციის ხელშეწყობაა. ISET-ის კვლევითი ინსტიტუტი თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET) ბაზაზე შეიქმნა, რათა თავისი წვლილი შეიტანოს მაღალი ხარისხის ეკონომიკური განათლებისა და კვლევების წარმოებასა და მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის ნახალისების საქმეში.

ISET-ის კვლევითი ინსტიტუტი

საქართველო, თბილისი

0108, მ. ზანდუკელის ქ. 16

[www.iset-pi.ge](http://www.iset-pi.ge)

გარეკანის ფოტო:

თანასწორობის კედელი მარნეულში | არტისტი: გაგომა

ფოტო: UNFPA Georgia / ვლადიმერ ვალიშვილი